



იმისთანა წმინდა სადმეში, ბოგობილ ბეჭდვით სიფყვას, ფედიულებით და ჭებობით ბუბთის გაფანა ყველა უკადრისებზე უსამაგლოსია.



გაგონის 1918 წლის 25 ივლისიდან

რესპუბლიკა

შაბათი, 13 ოქტომბერი. 2018 წ. №204-205 (8605-8606)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი



ღია ბარათი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა!
 ეს მიმართვა თქვენდამი პატივისცემის დადასტურებაა – უპირველესად, ფიქრია იმ მდგომარეობაზე, რომელშიც ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები რეალურად აღმოვჩნდით!

მდგომარეობა კი იმაზე უარესია, ვიდრე თქვენ ეს წარმოგიდგენიათ. რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ ამ ექვსი წლის შედეგი. თუმცა, ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ სიყალბე, სიცრუე, ტაშისკვრა, ქება-დიდება, პარტიიდან პარტიაში მომთაბარეთა პარპაში, რომელთა გამოც ჩვენ ამ მდგომარეობაში ვართ, უკვე ახოვებს აღწევს.

ღიას, მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე თქვენ ეს წარმოგიდგენიათ. მინდა, ვცდებოდე ამ შეფასებაში, მაგრამ ნაბიჯები, რომელსაც თქვენი თავმჯდომარეობით დგამს მმართველი პარტია, ამას ადასტურებს. ამას ადასტურებს ის თვითკმაყოფილება, რომლითაც ადრეც დაავადებული იყო ყველა პოლიტიკური ძალა. ახლანდელი თვითკმაყოფილება ზომიერების ყველა ფარგლებს გასცდა. თქვენ არ შეიძლება გქონდეთ სრული ინფორმაცია ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე თუნდაც იმის გამო, რომ ხართ ადამიანთა ორი გუნდის გარემოცვაში: ერთია ოპოზიცია, რომელიც ჩასაფრებულია და ყველაფერს მუქ ფერებში წარმოადგენს, მეორეა – თქვენი პოლიტიკური გუნდი და თქვენი მაქებარ-მადიდებელი ინტელიგენცია. გიფრთხილდებიან, ეტყობა, გიმალავენ იმ რეალობას, თქვენი მსახური სპეცსამსახურები და

თიიზუკაზ გაუიზუილი:
ბატონო ბიძინა, ბახსენით ბორღიას კვანძი, თორკამ მას დაუნდობლად ბაჩეხა მოუნეხს!

თქვენი ოჯახის წევრებიც კი რაც მათ იციან არსებულ მდგომარეობაზე არადა, მათ იმის მესხედიც არ იციან, რაც რეალურად ხდება.

ყველამ გაიგო თქვენი სუსტი მხარე – თქვენ ვერ იტანთ სიმართლის მთქმელებს. ამიტომ არავინ დაკარგავს სკამს თქვენთვის სიმართლის თქმის გამო. ისიც იციან, რომ სიმართლის მთქმელის ყიდვაც ხერხდება. ვხედავ, თქვენს ირგვლივ ბევრი როგორ გელაქუცვებათ ტელევიზიით საჯაროდ გამოსვლისას და იგივე ხალხი რას გვესაუბრება პირადი შეხვედრებისას.

ეს რეალობა – სიყალბე ჭამს ქვეყანას და ქართულ სულს.

ამ მომართვაში არ ვაპირებ, მოგწეროთ ის, თუ როგორია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ჩემი ანალიზი. როგორც წყლის ერთ წვეთში შეიძლება მთელი ცხოვრების ანარეკლი მოთავსდეს, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე სერიოზულად უნდა დაგვაფიქროს ერთი ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის მიერ დღეს გამოგზავნილმა ამ პატარა წერილმა: „ეს ცხოვრება კი არა, წამებაა, ტყიბულის სოფლებში კატასტროფული მდგომარეობაა, ბავშვებს ხმელი პური ენატრებათ. დახვრეტის მუხლის შემოდება მოგინდება, ამ სიღარიბის „ავტორთა“ მიმართ“ გაითვალისწინეთ, ამ სიტყვების უკან დიდი პუმანისტი დგას.

№ 3 83



დღეს სვეტიცხოვლობაა, ბილოსავით!

ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, მკლავი მომჭრეს დილას სისხამს, კრინტი არსად გამიღია.

დაფასება ღვაწლის ნაცვალ, მე ოდითგან გამიგია, კუფრთხილდები ყველა მარცვალს, მაგრამ ბედთან წამიგია.

მეფეს აფხაზთ, მეფეს ჰერთა, თათბირს აწვდის სპარსი ფარსმან, შეხამება არის ფერთა, მაინც უნდა ძელზე გამსვან.

დიდოსტატი არსაკიძე, ცეცხლისმფრქვეველს ვჭედდი ხმალებს, გაღეღილი მაქვს საკინძე, ვმალავ მკერდზე ძველ ნახმალებს.

დაე, დავრჩე კირითხურო, არ ვიკადრებ სხვის გამხელას, ოღონდ შენ ნუ ისმენ ყურო, რომ დავდივარ მე ცალხელა.

ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, მკლავი მომჭრეს დილას სისხამს, რატომ კარგი აგიგია.

ყავისფერი დემოკრატი

4

მესამე საქორის „მარტალი“ გიგანური

ვინ ააიკებს ზეიშვი რაკუკებს?

ქებო, აფხაზებო, 7

სახელმწიფოებრიობას დამსახურება უნდა!

თბილისი – ხუთი ფასლის ქალაქი 5

ასე ამბობდა 6

სარჯაროჩ რაი

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქალაქისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას. განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ლონდონის საფონდო ბირჟაზე დღევანდელი დღე საქართველოს ეთმოება

— საგაბარო დღე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გახსნა. მთავრობის მეთაურს ლონდონის საფონდო ბირჟის აღმასრულებელმა დირექტორმა ნიხილ რათიმ უმასპინძლა.

მამუკა ბახტაძის განცხადებით ლონდონის საფონდო ბირჟაზე თავმოყრილი არიან მსხვილი ინვესტორები მსოფლიოს ყველა კუთხიდან და ეს არის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, მათ საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და განხორციელებული რეფორმების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღონ.

„ეს იყო ძალიან კარგი საშუალება ჩვენთვის, ინვესტორებისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა და იმ ამბიციური გეგმების შესახებ, რომლებიც გვაქვს, რათა საქართველო რეგიონულ ცენტრად ვაქციეთ. ძალიან დიდი დაინტერესებაა საქართველოში ინვესტირების თვალსაზ-

რისით და ამასთან ერთად, ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს, უახლოეს წლებში მეტი ქართული კომპანია ვიხილოთ ლონდონის საფონდო ბირჟაზე. ჩვენი მთავარი ამოცანაა, მოვახდინოთ საქართველოს უფრო ეფექტური ინტეგრაცია გლობალურ ეკონომიკაში და, აქედან გამომდინარე, ასეთ პლატფორმებსა და მსგავს საფონდო ბირჟებზე ჩვენი აქტივობა ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ქართულ კომპანიებთან წარმატებულ თანამშრომლობაზე ისაუბრა ლონდონის საფონდო ბირჟის აღმასრულებელმა დირექტორმა.

ლონდონის საფონდო ბირჟაზე კონფერენცია „საქართველო — ინვესტორთა დღე“ იმართება. კომპანია Galt & Taggart-ის მიერ ორგანიზებული ლონდონის 130 მსხვილი საინვესტიციო კომპანიის წარმომადგენელი ესწრება.



კონფერენციაზე სიტყვით გამოვლიასს პრემიერი ინვესტორებს საქართველოს საინვესტიციო გარემოზე, განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებზე ესაუბრა. საქართველოს მაკროეკონომიკის შესახებ პრეზენტაცია გამართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულაძემ.

ორმხრივი საგაბარო კავშირების განვითარება დიდ პრიტანეთთან



ემონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულაძე გაერთიანებული სამეფოს საგაბარო პოლიტიკის სახელმწიფო მინისტრს, თემთა პალატის წევრს ჯორჯ პოლინგერის შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი წარმოართა ორმხრივი სავაჭრო კავშირების განვითარებასა და საქართველოში ბრიტანული ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებზე.

განსაკუთრებული ხაზი გაესვა „ურობროპის სტრატეგიული დიალოგის“ მნიშვნელობას, რომლის ფარგლებში განიხილება სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის, ეკონომიკისა და ინვესტიციების მიმართულ-

ბით. აღინიშნა, რომ 2018 წლის ნოემბერში, თბილისში „ურობროპის სტრატეგიული დიალოგის“ ყოველწლიურ შეხვედრაზე შესაძლებელი იქნება ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის პლატფორმის განვითარება და ინვესტიციების სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულაძემ დაადასტურა შეაფასა საქართველოში რამდენიმე თვის წინ ბრიტანეთის საგაბარო მისიის ვიზიტი, რომლის დროსაც გაიმართა შეხვედრები საქართველოს მთავრობისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან. გიორგი ქობულაძის განცხადე-

ბით, მსგავსი სავაჭრო მისიების ჩატარება ხელს შეუწყობს ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას და საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ წლების მანძილზე გაერთიანებული სამეფო საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. 2018 წლის 8 თვეში ორმხრივი ვაჭრობა 14 პროცენტით, ხოლო ექსპორტი — 37 პროცენტით გაიზარდა. ამავდროულს, ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ რეალური პოტენციალი გაცილებით დიდია და მზარდება ქალისხმევას უნდა მიმართონ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

საქართველოში საკრედიტო პრეზენტაციის 3 558 437 პოტენციური ამომრჩეველია

ცესკოსთვის გადაცემული მონაცემების თანახმად, საქართველოში საპრეზენტაციო არჩევნებისთვის 3 558 437 პოტენციური ამომრჩეველია, — ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე განაცხადა.

„პოტენციური ამომრჩეველის ცნებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან არაერთი მათგანი შესაძლოა, იყოს ოკუპირე-

ბულ ტერიტორიებზე, არაერთი მათგანი შეიძლება იყოს საზღვარგარეთ და ჩვენ გვახსოვს, რომ ყველაზე დიდი აქტივობა ბოლო წლების მანძილზე იყო 2012 წლის პირველ ოქტომბერს, თუ სწორად მახსოვს და მაშინ ორი მილიონ ექვსასი ათასის ფარგლებში ამ ოდენობის ამომრჩეველი მივიდა



ურნასთან. ვნახოთ, როგორი იქნება აქტივობა წელს, მაგრამ ეს არის ის მონაცემი, რასაც ჩვენ დღეს ცესკოს გადავცემთ, შემდეგ უკვე ცესკო დააგროვებს სხვადასხვა უწყებიდან მიღებულ მონაცემებს, რათა საბოლოოდ რეალური ამომრჩეველის სია დადგინდეს“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე თქმით, ცესკოს მონაცემებს ასევე მიაწვდის პენიტენციური სამსახური და ჯარი.

თეა წულუკიანმა კომისიის წევრებს პირადობის მოწმობის უფასოდ გაცემის ვადის გასანგრძლივების შესახებ მიაწვდინა ინფორმაცია.



დაძაბულობა სამოქალაქო სექტორსა და პალატიონებს შორის

შომველ დემოკრატიაში არის გარკვეული დაძაბულობა სამოქალაქო სექტორსა და მალაჩინოსნებს შორის, ასევე ჩვენთანაც, — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ჯორჯ კენტმა თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ვიზიტის ფარგლებში ვსტუმრობ აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს, რომ საზოგადოება ამ რეგიონის ქვეყნების მიმართ ჩვენს მხარდაჭერას, მათ შორის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, მათი წარმატებებისა და განვითარების მიმართ. საქართველოში ვხვდებით ქართველ ლიდერებს, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებს და ვსაუბრობთ ჩვენს მხარდაჭერაზე საქართველოს მიმართ, რომ მან მიაღწიოს წარმატებებს, როგორც ქვეყანამ, რომლის საერთაშორისოდ აღი-

არებული საზღვრები დაცულია. ვართ აქ საქართველოს სუვერენიტეტისა და დინამიური ეკონომიკის უზრუნველყოფის, აგრეთვე მყარი დემოკრატიის მხარდასაჭერად, რომ ქვეყანამ მიაღწიოს მიზნებს და გახდეს ევროკავშირისა და ნატო-ს ლირსეული წევრი. ახლახან დავინწყე მოვალეობის შესრულება, თუმცა ვიცი, რომ საქართველოში წინასწარჩევი პერიოდი. აშშ დიდად უჭერს მხარს, რომ საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, წარმატებული არჩევნები ჩატარდეს.

გვესმის, რომ ყველა ქვეყნის არჩევნებში, მათ შორის, ჩვენთანაც, არის რთული მომენტები და გამონწვევები. მაგრამ, იმედი გვაქვს, ქართველებს შორის დიდი ღირსეული იქნება და არ ექნება ადგილი რაიმე ტიპის თავდასხმას სამოქალაქო სექტორის მიმართ“, — განაცხადა აჯორჯ კენტმა.

ივანე მაჭავარიანი ესტონეთის ფინანსთა მინისტრს შეხვდა

ინფორმაციაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიური შეხვედრების ფარგლებში, ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი ესტონეთის ფინანსთა მინისტრს ტომას ტინისტეს შეხვდა.

მხარეებმა ერთმანეთს საჯარო ფინანსების მართვისა და საგადასახადო სფეროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ გამოცდილება გაუზიარეს. საუბარი, ასევე შეეხო ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმართული დაგეგმილ ინიციატივებს. ივანე მაჭავარიანმა ესტონელ კოლეგას გააცნო მოგების გადასახადის რეფორმის მიმდინარეობა, მისი პირველი შედეგები და კიდევ ერთხელ, მადლობა გადაუხადა ესტონურ მხარეს რეფორმის დაწესების პროცესში განეული მხარდაჭერისთვის.



თეიშურაზ ზაშიაშვილი: ბატონო ბიძინა, გახსენით გორდის კვანძი, თორემ მას დაუნდობლად გარეხა მოუნავს!



ღია ბარათი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

(აიკრძალი ბაგრატიონი) ამ წერილმა იმდენად შემანუ-
მა, ტყიბულში დავერეკე რამდენი-
მე პიროვნებასთან. მათ დამიდასტურეს, რომ ეს სი-
ნამდვილეა. წარმოადგინეთ, რომ ტყიბულში, რომე-
ლიც ერთ-ერთი მდიდარი რაიონი უნდა იყოს, ასე-
თი მდგომარეობაა. ასეთივე ვითარებაა იმ ქალაქებსა
და რაიონებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა დღეს
ბედნიერად უნდა ცხოვრობდეს: ჭიათურა, ზესტაფონი,
ბოლნისი, რუსთავი, ფოთი, ბათუმი, ბორჯომი, ბალ-
დათი, ჩოხატაური, თელავი და ა.შ. რომელთაც კარ-
გი ბუნებრივი პირობები აქვთ. გარედან შესეულ სა-
ხელისუფლებო ძალების და მათ მიერ ხელდასხმულ
უცხოელ წამყვანთა მიერ ხალხი სილატაკისკენ უფრო
მიდის, ვიდრე ბედნიერი ცხოვრებისკენ. აქედან და-
ვასკვნათ, რა მდგომარეობა იქნება შედარებით მწირი
ბუნებრივი რესურსების მქონე სხვა რეგიონებში. თუმ-
ცა რა გასაკვირია, როცა წარსულში ცნობილი ყვე-
ლა ჩვენგანის საყვარელი სპორტსმენი, გამორჩეული
მოაზროვნე ამ რამდენიმე დღის წინ გულისტყვილით
მეუბნება, რომ, პრაქტიკულად, შიმშილობს. ყველა-
ფერ ამას თქვენი მესობზე „ინტელიგენცია“ ვერ ხედავს,
რადგან თავს გალაღებულად გრძნობს!

ვთქვით პირდაპირ, ამის შემოქმედი და ავტორი თი-
თოეული ჩვენგანია – ყველა პოლიტიკოსი, დამოუკი-
დებელი საქართველოს ყველა თანამდებობის პირი, მი-
უხედავად იმისა, ვის როგორ ეკუთვნის ეს პასუხისმგებ-
ლობა და ვინ როგორ იზიარებს ჩემს ამ შეფასებას.

სწორედ ამ პასუხისმგებლობამ გადამანყვეტინა
მოგმართოთ ღია წერილით. მიმდინარე საპრეზიდენ-
ტო და მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე წყდება
ქვეყნის ბედი – ჩვენ ისევ სოროსული ძალებით გამაგ-
რებული კლანების ხელში დავრჩებით საქართველოში,
თუ ასე გაიმარჯვებს ქართული სული, ქართული ძალა,
ქართული აზროვნება.

პრინციპულზე პრინციპულია კარსმომდგარი საპ-
რეზიდენტო არჩევნები თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყა-
ნაში არსებული უკიდურესად მძიმე პოლიტიკური და-
პირისპირება არ გაგრძელდება და ქვეყანაში მდგო-
მარეობა კიდევ უფრო არ დამძიმდეს.

ვეთანხმები არაპოლიტიზირებულ მეცნიერთა და
მოღვაწეთა წარმომადგენლებს, რომლებიც თვლიან,
რომ ქვეყნისთვის კატასტროფა იქნება მხოლოდ ორი
ძალის (მე მათ პოლიტიკურსაც არ ვუნწოდებდი): „ნა-
ციონალური მოძრაობისა“ (თავისი დანაყოფებით) და
„ქართული ოცნების“ (თუმცა მათ შემადგენლობაში
არაერთი საინტერესო პიროვნებაა) წარმოჩენა. საინ-
ფორმაციო სივრცე ისეა „დამოუშავებული“, რომ ხალხმა
არც კი იცის, მათ გარდა საპრეზიდენტო არჩევნებში
ვინმე სხვა თუ მონაწილეობს.

უამრავი ჭორ-მართალი ტრიალებს ხალხში: „ვერო-
პულ საქართველოსთან“ თქვენი ურთიერთობის, „ნა-
ციონალურ მოძრაობასთან“ (მოსასმენადაც კი მძიმე) გა-
რიგებების, იმის შესახებაც, თუ რატომ უჭერთ ამ არ-
ჩევნებზე მხარს პიროვნებას, რომელსაც პარტიაში 70-
80-პროცენტის მხარდაჭერაც კი არა აქვს.

გარწმუნებთ, რომელიმე მათგანის გამარჯვება თქვენ-
თვის იქნება უმძიმესი, ხოლო ქვეყნისთვის იქნება უბედუ-
რება!

უზნობად ვთვლიდი და დღესაც ვთვლი იმას, რომ
საპრეზიდენტო კანდიდატთა ერთი ნაწილი თქვენი
მხარდაჭერის მოპოვებისთვის იბრძოდა, ხოლო მეორე
ნაწილი თქვენი ლანძღვა გინებით ცდილობდა თქვენზე
განაწყენებული ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას.

მე მძიმე შემოთავაზებები გავიარე, ვერ კიდევ 90-
იან წლებში ამერიკული და რუსული სამთავრობო ჯგუ-
ფებისგან. 2003 წელს, თქვენს მიერ დაფინანსებული ენ-
„ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდში, მიხეილ სა-
აკაშვილმა გიცა ბოკერიაც კი გამომიგზავნა ქუთაისში
– უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებს და დიდ
ფულს მთავაზობდნენ. მე ხალხთან ყოფნა ვარჩიე! ახ-
ლაც ხალხის რჩეულის სახელის მოპოვებისთვის
ვიბრძვი. მე თქვენს მხარდაჭერა არ მინდა!

ღიად ვაცხადებ: ჩემი გამარჯვების შემთხვევაში
არც თქვენი ერთგული ვიქნები და არც თქვენი მორ-
ჩილი, მაგრამ ქვეყნის ერთგული და ხალხის მორჩი-
ლი ვიქნები!

გულწრფელად მინდა, გირჩიოთ: დანვით ეს მოსას-
მენი აპარატები, რომელიც სააკაშვილს შეუძინეთ თა-
ვის დროზე და ქვეყნისთვის მსხვერპლისა და უბედუ-
რების მტეი არაფერი მოუტანია, როგორც ჩანს, დღე-
საც სრული დატვირთვით მუშაობს. მოაშორეთ უშიშ-
როება არჩევნებს! ამ სისტემაში ბევრი კარგი ადამი-
ანია დასაქმებული და ამ ცოდვას ნუ ჩაადენინებთ! გა-
ათბეთ – გაალაღეთ ურთიერთობა ადამიანებს შორის
ყოველგვარი თვალთვალისა და მოსმენის გარეშე!

თქვენს წინაშე დღეს მძიმე რეალობაა: ისეთივე, რო-
გორც ჰქონდათ თავის დროზე ედუარდ შევარდნაძესა
და მიხეილ სააკაშვილს, რომელთაც გამოუვიდათ სა-
კუთარი თავის ღალატი დასავლეთის სოროსული
ძალებისადმი ერთგულების ფასად.

2001 წელს, როდესაც ბორჯომში ედუარდ შევარ-
დნაძეს გადავეცი ჩემი წერილი-განცხადება გადად-
გომის თაობაზე, ასე დავამთავრე: „თქვენს წინაშე ორი
არჩევანია, ან თქვენ რჩებით საქართველოს ისტორია-
ში დიდი განზომილების პიროვნებად, ან თქვენი მოლ-
ვანეობის პერიოდი არარაობად იქცევა!“

რეკოლუციამდე ორი დღით ადრე, თავისსავე მი-
საღებში, ჩემს კითხვაზე, რატომ არ პასუხობდა ბეი-
კერის ზარებს, მითხრა: „მომატყუეს, აღარ მინდა მათი
მოსმენა, რასაც მთხოვენ, ის რომ გააკეთო, მაინც
არ ვუყვარვარ ხალხს და მარტო მე კი არა, შევარდნაძის
გვარისას ერთს არ დატოვებენ მიწაშიო“ ბოლოს
დასძინა: „თემურ, მე რომ მათი მოთხოვნები შემესრუ-
ლებინა, სიცოცხლის ბოლომდე ვიქნებოდი პრეზიდენ-
ტი. შენ მართალი იყავი და დიდი მადლობა, იმისთვის,
რომ ყოველთვის სიმართლეს მეუბნებოდი!“...

მე სააკაშვილის გადარჩენაც მინდოდა. მას დიდი
ვალდებულებები ჰქონდა აღებული უცხოელი „პატ-
რონების“ წინაშე შევარდნაძესთან ერთად და ვერ
შეძლებდა იმ ვალდებულებებიდან გამოსვლას და სა-
კუთარ თავსაც და ქვეყანასაც დაღუპავდა. პირადად
ვუთხარი მას: „ბატონო მიხეილ, შენ სომ მუდმივად წერ-
დი ჩემს პრეზიდენტობაზე, მუდმივად ლაპარაკობდი, რომ
მე ვიქნებოდი პრეზიდენტი შევარდნაძის შემდგომ, ჩემი
პრეზიდენტობა შენი გადარჩენაც იქნება და ქვეყნისაც-
მეთქი“... არ გაიზიარა. 2004 წლის საპრეზიდენტო არ-
ჩევნებში მისმა კონკურენტმა, როცა მეორე ადგილზე
გავიდა, ასე მივულოცე: „ეს გამარჯვება შენთვის და-
მარცხების, ხოლო ჩემი დამარცხება კი, ჩემთვის გამარ-
ჯვების ტოლფასია-მეთქი“.

ხალხმა შეაფასოს!

ახლა კი თქვენ მოგმართავთ ბატონო ბიძინა, თქვენ
ხელიდან გაუშვით უნიკალური შანსი – შექმნილიყო
ქართული კონსტიტუცია ნამდვილი ზოგადსააკაცობ-
რიო იდეალებით.

**ნაცების მსგავსად, თქვენ ამჯობინეთ პარტიული კონ-
სტიტუციის შექმნა.**

თქვენ, ნაცების მსგავსად, თავზე მოირგეთ მთელი
კანონმდებლობა.

არჩევნების დროს, ბევრ დემოკრატიულ სახელმ-
წიფოში ვყოფილვარ, მაგრამ ისეთი მდარე წინასაარ-
ჩევნო სიტუაცია, როგორც დღეს ჩვენთანაა, არსად
მინახავს.

ნუთუ გჯერათ, რომ ადამიანები, რომლებიც ამდენ
ფულს არ იშურებენ ათასგვარ უზარმაზარ ბანერებსა
და პლაკატებში, გამარჯვების შემთხვევაში, წესრიგს
მოუტანენ ქვეყანას?! დღეს ისინი და მათი მხარდამ-
ჭერნი ყიდულობენ ხმებს, ანუ არჩევნებს აყალბებენ
– ყალბის მქნელს კი უფალი დასჯის!

დღეს თქვენს წინაშე, არის ნათელი და ბნელი პერ-
სპექტივა: ნათელი ნამდვილად მართალ, დემოკრატი-
ულ არჩევნებთანაა დაკავშირებული; ბნელი – არჩე-
ვების გაყალბებასთან და თქვენს მიერ იმის დადას-
ტურებასთან: რაც მინდა, იმას გავაკეთებო!

ქართველი ერი ამ განწყობას არასდროს, არავის
პატიობს! ასეთივე განწყობა გამოხატა თქვენდამი მი-
მართვაში ბატონმა ლევან ვასაძემ.

მე ვიზიარებ პათოსს, რომელიც მას ჰქონდა, მერ-
წმუნე, არ არიან თქვენი მტრები ისინი, ვინც სიმარ-
თლეს გეუბნებიან. თქვენი და საქართველოს მტრები
არიან ისინი, ვინც ტაშს გიკრავენ, გაქებენ, გადიდებენ
და გვერდზე ქილიკობენ. ასე ნაშალა საკუთარი თა-

ვი ჩემთვის საყვარელმა კინორეჟისორმა გიორგი შენ-
გელაიამ, რომელმაც ჯერ ქება-დიდებათ აგავსოთ,
მერე კი უნიგნური გამოგიყვანათ!

ბატონო ბიძინა, თქვენი გადარჩენა ახლა ხალხს
შეუძლია. ხალხს შეუძლია თქვენი დახსნა თქვენი გარე
ვალდებულებებისგანაც.

თუმცა, ხალხმა ეს რომ გააკეთოს, ამისთვის საჭი-
როა, ის მაინც იცოდეს, თუ ვინ იყრის კენჭს და რა
პროგრამით მოდის.

სიცხველია, ამ წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება
სივრცეში, სადაც მოქმედებს დრაკონული კანონები კვა-
ლიფიციური და არაკვალიფიციური სუბიექტების შე-
სახვები.

მძიმე, მაგრამ ლიტერატურული გამოთქმა მინდა
გამოვიყენო: ცხვირანული გვიყურებენ - ქალბატო-
ნი სალომე ზურაბიშვილი, ბატონები გრიგოლ ვაშაძე,
დავით ბაქრაძე. ეს სენი ბოლო ხანს ბატონ დავით უსუ-
ფაშვილსაც გადაედო, მათ არაერთხელ შევთავაზე
დებატები ამომრჩევლების წინაშე, ტელევიზიაში, ღია
სივრცეში. ყოველთვის უარი მივიღე. პოლიტიკოსები,
რომელთაც თანამემამულეებთან საუბრის უნიათა, რო-
გორ დაჯდებიან სასაუბროდ ამერიკის პრეზიდენტ
ტრამპთან, ევროპულ ლიდერებთან, რუსეთის პრეზიდენტ
პუტინთან და საერთოდ, მსოფლიო ლიდერებთან?!

მათ მთელი საინფორმაციო სივრცე უჭირავთ ხელ-
ში – საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არც
კი იცის, რომ მე კენჭს ვიყრი საპრეზიდენტო არჩე-
ვებში, მეტიც, ბოლო სამი დღეა ფეისბუქი დამიბლოკეს
(არა მარტო მე) და ხალხთან სრულფასოვანი ურთი-
ერთობების საშუალებაც კი წამართვეს, დიდი სიხა-
რულით არ ხვდებიან ჩვენ ჩასვლას რეგიონებში და
ცდილობენ, მოსახლეობასთან კონტაქტი არ შედგეს!

**სამარცხვინოა რეიტინგების სისტემაც... სამარცხვინოა
„ქართული ოცნების“, „ნაციონალური მოძრაობის“ და
მისი დანაყოფების ბრიყული განცხადებები, რომ უკ-
ვე გამარჯვებულები არიან არჩევნებში... სამარცხვინოა
„ქართული ოცნების“ წევრების მიერ ხმების მასიურ
რი გავრცელება („ნაციონალური მოძრაობა“ და მი-
სი დანაყოფების წევრებიც აყვინენ), განცხადება, თით-
ქოს ამ ორის გარდა ხმების სხვაზე მიცემა დაკარგული
ხმებია. ასე როგორ ააპარპაშეთ, ბატონო ბიძინა, სო-
როსის შვილები – „თავისუფლების ინსტიტუტის“ შემ-
ქმნელ-დამფუძნებლები, სპაცსამსახურების წარმო-
მადგენლები?!**

პირდაპირ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გა-
რეშე ვამბობ ამომრჩეველთა გასაგონად: ამ ორი პარ-
ტიის წევრებზე ხმის მიცემა არის დაკარგული ხმები
საქართველოსთვის, ეს არის ქვეყნის ნამდვილი ღალა-
ტი. საქართველოს წინააღმდეგ ხმის მიცემა.

ბატონო ბიძინა!

თქვენ ამბობთ, რომ გაქვთ ფონდი კეთილ საქმეთა
შესასრულებლად. ვადასტურებ, რომ ამ ფონდს ბე-
რი კარგი საქმე აქვს უკვე გაკეთებული. დღეს უფრო
კეთილი საქმე წარმოუდგენელია, ვიდრე სამართლი-
ანი. თანაბარპირობებიანი არჩევნების ჩატარება – თა-
ნაბარი საარჩევნო გარემოს შექმნა პრეზიდენტობის
კანდიდატებისთვის და ამ გზით, საქართველოს მო-
სახლეობის ნების სწორად გამოხატვის უზრუნველ-
ყოფა.

დახარჯეთ ეს თქვენი მილიონები და იმ ოთხეულის
გარდა, ყველა არხზე, დანყებული „რუსთავი-2“-ით და
„იმედით“, „მესტრო“-თი, „TV-პირველით“, „იბერიით“,
„კავკასიით“ და დამთავრებული „პირველი არხით“ თა-
ნაბრად შეუძინეთ სატელევიზიო ეთერი ყველა საპრე-
ზიდენტო კანდიდატს, ვინაიდან სწორედ თქვენი და თქვე-
ნი წინამორბედი ხელისუფლების დროს შეიკრა გორ-
დას კვანძი არათანაბარი პოლიტიკური პირობებით.

ბატონო ბიძინა!

დროულად გახსენით ეს კვანძი, თორემ როგორც
ისტორია გვიჩვენებს – მას დაუნდობლად გაჩეხვა მო-
უნევს!

მინდა, იცოდეთ, რომ დღევანდელი კანდიდატების
დიდი ნაწილი შექმნა თქვენმა ხელისუფლებამ და სა-
აკაშვილის რეჟიმმა.

მე კი ჩემი თავი თავად შევქმენი.

**თეიშურაზ ზაშიაშვილი,
საქართველოს პრეზიდენტობის
დამოუკიდებელი კანდიდატი**
11.10.2018წ

სამომავლობა საზოგადოება არის ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითაა, თვითნარმოქმნადი, (ფართოდ) თვითგანვითარებადი, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით და ზოგადად ის განსხვავდება „საზოგადოებისგან“ იმ თვალსაზრისით, რომ მასში ინდივიდები მოქმედებენ კოლექტიურად საზოგადოებრივ სფეროში საკუთარი ინტერესების, მისწრაფებების და იდეების გამოსახატავად, ინფორმაციის გასაცვლელად, საერთო მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოს წინაშე მოთხოვნების წამოსაყენებლად და სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშგადგენების უზრუნველსაყოფად. სამოქალაქო საზოგადოება არის შუალედური წარმონაქმნი, რომელსაც უკავია ადგილი კერძო ცხოვრების სფეროსა და სახელმწიფოს შორის. — ლარი დანიონი.

და რა ხდება რეალურად? ალბათ ყველას გახსოვთ ფრანგული ფილმი — „ფანტომასი აბობოქრდა“. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ საქართველოში არსებული სიტუაცია, ზუსტად შეეფერება იმ ფილმის სახელწოდებას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ როლებს შესანიშნავი მსახიობები უან მარე და ლუი დე ფიუნესი ასრულებდნენ. ჩვენთან კი „ასოები“, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და გაურკვეველი წარმონაქმნები, რომლებიც თავს რატომღაც „საზოგადოების წარმომადგენლებს“ უწოდებენ (მაგ: ვინმე სალაძე, კაპიტანი გიგაური, „კნების პოეტი“ პაატა შამუგია, ლაშა ბულაძე და.შ.) და ბობოქრობენ.

„რომელი მესამე სექტორი? ის მესამე სექტორიც ხომ დასვრილი და დაბინძურებულია. სამოქალაქო საზოგადოება მათ, უკაცრავად და გარყვნილ, ისეთი ხალხი შედის და ისეთ ნიშანს იკავებენ, რომ ისეთი აგრესიული „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც არ არიან, ძალიან ხშირად. ალბათ, „პაგონებიანმა“ გიგაურმა თქვა. იქ ფულზე რომ იყო საუბარი, გიგაურმაც მიიღო „პაგონები“ მაგ დროს — მე არ ვიცი ეს ქორები, მაგრამ უწერენ მაგასაც. მე მესამე სექტორს კი არ ვაკრიტიკებ, მესამე სექტორში თავშეფარებულ ხალხს ვაკრიტიკებ. ამ სექტორს ნუ აბინძურებენ, გამოვიდნენ და დაიკრიტიკონ სახელი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან“ (ამონარიდები ბიძინა ივანიშვილის განცხადებიდან).

სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება, მათთან მიმართებაში, რატომღაც იყო იმ ხვარაზმელი დეჰყანის პოზიციაში, რომელსაც მოთვალის მონგოლი მეომარი დაადა თავს და მისი მოკვლა გადაწყვიტა. უცებ აღმოჩინა, რომ ხმალი არ ჰქონდა და მოკვლეული და უბრძანა, დაემლოდო. მონგოლი ხმლის მოსატანად წავიდა.

ის გლეხი დაელოდა! ხელისუფლების მისამართით მუდამ ისმოდა შეკითხვა — რატომ თვლიან, რომ მურუსიძის მოსამართლეობა „პრაკურორების“ და „ძალღების“ შენარჩუნება, პოლიტიკანებისთვის ქვეყნის სადავეების გადაცემა და მათგან „კოპაბიტაციის“ შემოტენვა, ლომჯარიას „სახალხო დამცველობა“, კოლექტიური გუგულის „რეფორმატორობა“, ე.წ. „სამოქალაქო სექტორის“ მიმართ მონური მორჩილება და მათი იმ ყველა კომისიაში გაკვეთება, სადაც ქვეყნისთვის საჭირობო საკითხები წყდება, აუცილებლობას წარმოადგენს და რატომ იყო საჭირო ნინია კაკაბაძის კაი მსუყე ადგილას დანიშნაზე თავის მართლება ფრაზით — უი, ეს თუ ასეთი პრობლემა იქნებოდა, არ მგზობია.


პირდაპირ ვიტყვი, რომ ნინო ლომჯარიას სახალხო დამცველად არჩევა, პირველ რიგში, არის ამ ინსტიტუტის, როგორც დემოკრატიის უმთავრესი გარანტის პრინციპების სრული დისკრედიტაცია.

სრული დისკრედიტაცია საკმაოდ ბევრი მიზეზის გამო, რომელთაგან უმთავრესია ლომჯარიას და მისი ორგანიზაციის „მოღვაწეობის“ ორმაგი სტანდარტი და მეორე კი მისი ჩართულობა შედეგით საერთაშორისო განვითარების სააგენტო SIDA-ს მიერ გამოყოფილ თანხებთან, რომელთა მიმოქცევა საკმაოდ საეჭვოდ ხდებოდა.

ეს კი არის ამონარიდი გოგა ხაინდრავას ინტერვიუდან (2015 წლის თებერვალი) — „SIDA-ს მიერ საქართველოსთვის სიღარიბის დაძლევის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დიდძალი თანხები თბილისში ხვდებოდა ევრაზიის ფონდის, „ენ-დი-აი“-სა და ავადსახსენებელი ლუის ნავაროს ხელში.

დაიხ, სწორედ ევრაზიის ფონდი და „ენ-დი-აი“ ანაწილებდნენ თბილისში შევდიოდნენ შემოსულ ფულს და მის მნიშვნელოვან ნაწილს გრანტების სახით ურიგებდნენ ძირითადად სამ არასამთავრობო ორგანიზაციას — „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“, რომლის ხელმძღვანელიც არის ეკა გიგაური, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“, რომელსაც ნინო ლომჯარია ხელმძღვანელობს და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“.

ვერ გეტყვი, რამდენად რეალური შედეგი ექნება ირაკლი კობახიძის „თვალის ახელას“, როცა ის „რ2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას „ფვის-ბუქ პოსტს“ გამოეხმაურა: ეს განცხადება არის ხელმოცარული და უნიათო ფაქტების განცხადება, რომელიც გასული ექვსი წლის მანძილზე არაერთგზის მწარედ და-მარცხდა ქართული დემოკრატიის, ქართველი საზოგადოების და სიმართლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიკა გვარამიას შეიძლება მართლაც აქვს იმის იმედი, რომ მის განცხადებებს რაიმე გავლენა ექნება საზოგადოების პო-



მესამე სექტორის „მარშალი“ გიგაური

საპისფერი დემოკრატია

ზიციაზე. თუმცა, საპირისპიროს ადასტურებს ხალხის და ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლების ფართო ჩართულობა სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიაში. ქართული ფაშიზმი ჩვენ ჩავაბარეთ წარსულს 2012 წელს და ჩვენ ვართ პასუხისმგებელი იმაზე, რომ საქართველოში ის მომავალში ვეღარ გადაგვამს ფესვებს.

ირაკლი კობახიძე არასამთავრობო ორგანიზაციების თემსაც შეეხო და აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არ გამოხმაურებიან ნიკა გვარამიას განცხადებას, ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ, მიხეილ ბენიძემ ნიკა გვარამია დაიცვა, ვინც ხელს აფარებს ფაშიზმს, თავადაც არის ფაშიზმის თანამონაწილე, სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შორისაც არიან.

უამრავვერ დამინერია, რომ არსებობენ ე.წ. „გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები“, რომლებსაც დამყარებული აქვთ თავიანთი ოლიგარქიული მმართველობა და საინფორმაციო ველის მონურ მდგომარეობაში არსებობის გამო, მოსახლეობას სრულიად დაბნეული აქვს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის და დემოკრატიული განვითარების უფლება.

ყველასთვის ცნობილია მათი ორმაგი სტანდარტები, გამომდინარე იმ მარტივი მონიტორინგიდან, რომელიც მათი დაინტერესების სფეროებს შეეხება.

თუ ის საქმე, რომელიც არ არის დაფინანსების ფორმულის შესაბამისი, ამ ე.წ. ყველაფერში იკვებს არანაირად არ აინტერესებთ (ეს შეიძლება განვიხილოთ მატერიალური პრინციპიდან გამომდინარე, მაგრამ არსებობს მორალური მხარე, რის გამოც არასამთავრობო ორგანიზაცია იქმნება) და ამ შემთხვევაში იმ ე.წ. ურუნალიტებს მინდა, ვთხოვო: ნუ დაეყრდნობით მარტო ჩემი კვლევების შედეგებს, რადგანაც ის, ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ძალიან მწირია. თქვენ, სავარაუდოდ, გაქვთ გადაადგილების, ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებები და გთხოვთ, ჩაატაროთ რეალური კვლევა, თუ რამდენმა მოქალაქემ მიმართა ამ ე.წ. სამოქალაქო საზოგადოებას უფლებების დარღვევის, არჩევნების გაყალბების და.შ. თემებთან მიმართებაში და რამდენმა მიიბოვა მათი მხარდაჭერა.

ძალიან კარგია, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ დაინახა, ამ ე.წ. „გავლენიანი ორგა-

ნიზაციების“ უტიფრობა — როდესაც 13 არასამთავრობო ორგანიზაცია ამბობს, 2012 წლამდე სასამართლოში იყო უკეთესი ვითარება, ვიდრე დღეს არისო, ისინი არიან უტიფრები.

„ისინი კომიკურ ჩანანერებს უწოდებენ იმას, რომ თურმე კორუფციის პრობლემა ქვეყანაში, მტკიცებულებების გარეშე — არასამთავრობო ორგანიზაცია ხარ, „ნაც-მოძრაობა“ ხომ არ ხარ, პოლიტიკური პარტია ხომ არ ხარ მართლა, ფორმალურად მაინც“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ხოლო იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მათ პოლიტიკურ პარტიებად დაორგანიზირებისკენ მოუწოდა: ეს 13 არასამთავრობო ორგანიზაცია არა მარტო პოლიტიკურ ინტერესს ატარებს, ისინი რეალურად პოლიტიკური პარტიები არიან. შესაბამისად, როგორც ჩანს, მათ აქვთ პოლიტიკური ამბიციები, ფორმალურადაც უნდა ჩამოყალიბდნენ პოლიტიკურ პარტიებად. იუსტიციის სამინისტროს რეესტრში არსებობს პოლიტიკურ პარტიათა რეესტრი და ჩვენ ნებისმიერ დროს მზად ვართ, ისინი პოლიტიკურ პარტიებად დაფარეგისტრირთ.

ძალიან ბევრი არასამთავრობო მიმართა სერიოზულად, მათი რიცხვი არ არის მხოლოდ 13, ისინი არიან 20-ჯერ 13 თუ არა, მეტი. ისინი არიან მათ შორის მუნიციპალიტეტებში, სოფლებში, დაბებში და აკეთებენ იმ საქმეს, რასაც ჰქვია სახელმწიფოებრივი, სამოქალაქო საზოგადოებრივი საქმე — განაცხადა წულუკიანმა.

კი ბატონო, სრულად ვეთანხმები როგორც პარლამენტის თავმჯდომარის, ასევე იუსტიციის მინისტრის შეფასებებს, მაგრამ...

ეს ოხერი „მაგრამ“, რომელიც ყველგან უნდა გამოეკვეხოს.

ვენახო, რა იქნება უახლოეს მომავალში. ცხადია, მათგან არ მოვიტხოვ რაიმე რეპრესიული ზომების განხორციელებას, მაგრამ დღეს ნამდვილად აქვთ შანსი, რომ მთავარი ტესტი ჩააბარონ.

პარლამენტის იურიდიული კომისია განიხილავს „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, რომელსაც საქართველოს ნახევარი მილიონი მოქალაქე უჭერს მხარს და რომელიც სააკაშვილ-ბოკერიას რეჟიმის დამნაშავედ გამოცხადების შესახებ, შესაბამისი რეზოლუციის მიღებას მოითხოვს.

„ა ბატონო. აღდგომა და სვალეო“. გადადგით რეალური ნაბიჯი, მიიღეთ ეს რეზოლუცია და აღარ იქნება სანუნუნო ის, რომ 13 ფაშისტური ორგანიზაცია იბლატავებს. იბლატავებს, იბლატავებს რადგან მათთვის მნიშვნელოვანია, მათი გულშემატივარი პოლიტიკური პარტიები რას იტყვიან და მათი საზღაბატაოც აღარ ექნებათ, — თეა წულუკიანი.

ისე რა მაგის პასუხია და როცა ვინმე გვარამიას, ვერძეულის, სალაძის და მათი „პარტია გენოციდების“ ფრაზებს ფაშისტურ გამონათქვამად აფასებენ, მეცნიერება.

რომელი SS-ის ოფიცრები ეს არსებები არიან? რა წონა და დატვირთვა აქვთ ათას როყო სისულელეებს საქართველოში და საერთოდ — ვინ ჩემს კვესიტაძეებს წარმოადგენენ?

რაც არიან („ვინც“ კი არა „რაც“), ყველამ კარგად ვიცით. რეებიც უჭერენ მხარს და მისი ლექსიკით აღფრთოვანებულები არიან, ეგეც ვიცით.

ჰოდა, ნუ მივაქცევთ ყურადღებას. ქარავანი რომ მიდის, ძალღმა უნდა იყუდოს. ეს არსება კი ძალღც არ არის, ადამიანმა ყურადღება რომ მივაქციოს.

ისე რა არ დაუძახნიათ ამ ე.წ. „არასამთავრობოებისთვის“, პედერასტებიო, მეხუთე კოლონაო, გრანტიჭამიებიო, სოროსის ნაბიჭვრებიო, და.შ. მაგრამ კუჭი მარტო „ფაშისტზე“ აენვათ.

აენვათ იმიტომ, რომ იმ შეფასებებს ეთანხმებიან, ფაშისტობა კი დააბრალეს.

ბევრი რომ აღარ გაგაგრძელო, პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს „ჩვენი“ 13 ფაშისტი, ერთი-ერთში ჰგვანან იმ ბავშვს, რომელიც საბავშვო ბაღში იმუქრება — ყავისფერ ტანსაცმელს ჩაიცვამ, და ზეიმში ჩაგვიუკებოთ.

გიგაურებს, სალაძეებს, ლომჯარიებს, ვერძეულებს და.შ. უკვე დიდი ხანია, ყავისფერი ფორმა“ აცვიათ. სხედან და ნამდვილ დემოკრატიაში აკუკებენ.



ბია ბაბრიძე

თაღლითობა 2 მილიონზე მეტი მიითვისას

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად მოქალაქეთა კუთვნილი 2 186 031,09 ლარის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ბრალდებულები გ.ძ., ს.გ. და ე.გ. დაშინავენ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ გ.ძ.-მ მოქალაქეთა კუთვნილი თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით, 2016 წლის აპრილიდან 2017 წლის თებერვლამდე, დიდი ოდენობით თანხის სანაცვლოდ ყოველთვიური საპროცენტო სარგებლის პირობით 52 მოქალაქესთან სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებები გააფორმა. გ.ძ.-მ შუამავლების ს.გ.-ს და ე.გ.-ს მეშვეობით, დაზარალებულებს დაარწმუნა, რომ იპოთეკის საგანს ის ბინები წარმოადგენდა, სადაც მშენებლობა თითქმის დასრულებული იყო, სინამდვილეში კი იპოთეკით დატვირთა მის საკუთრებაში არსებული ქობილისში მდებარე მშენებარე კორპუსი ბინები. აღნიშნული გზით გ.ძ., ე.გ. და ს.გ. მოტყუებით, თაღლითურად დაუფლნენ მოქალაქეების კუთვნილ, ჯამში 2 186 031,09 ლარს და პირადი მიზნებისთვის გამოიყენეს.

სის ბინები. აღნიშნული გზით გ.ძ., ე.გ. და ს.გ. მოტყუებით, თაღლითურად დაუფლნენ მოქალაქეების კუთვნილ, ჯამში 2 186 031,09 ლარს და პირადი მიზნებისთვის გამოიყენეს.

„გ.ძ.-ს და ს.გ.-ს 51 ეპიზოდზე ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ჯგუფურად, დიდი ოდენობით) და 1 ეპიზოდზე 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ჯგუფურად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინათ, ხოლო ე.გ.-ს 13 ეპიზოდზე 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. სამივე პირს ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამივე ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად გ.ძ.-ს და ს.გ.-ს 7 წლით, ხოლო ე.გ.-ს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.



საქართველოს სოფლის მეურნეობის ღვანდლის მუშაკს, ცნობილ მეცნიერს, პუბლიცისტს, საქართველოს დამსახურებულ მექანიზატორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს და საქართველოს ტექნოლოგიურ-ჰუმანიტარული აკადემიის ნამდვილ წევრს, ბატონ **ირაკლი დავაშვილს** 14 ოქტომბერს 90 წელი შეუსრულდა. სოფლის მეურნეობაში ირაკლი დავაშვილის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა უწყვეტად მატალითა იმისა, თუ როგორ უნდა იღვწოდეს ღირსეული მამული შვილი, სპეციალისტი, მეცნიერი, ექსპერტი, პუბლიცისტი და მოქალაქე, როგორ უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს თავის ქვეყანასა და ხალხს.

ირაკლი დავაშვილი მეტად საინტერესო

გაგონიერებაელი სოფლისა...

პრაქტიკული და შემოქმედებითი გზა განვლო. დაიბადა 1928 წლის 14 ოქტომბერს (სვეტიცხოვლობას) ამბროლაურის რაიონის სოფელ ზედა შავრაში. იქვე მიიღო საშუალო განათლება და 1944 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც 1949 წელს წარმატებით დაამთავრა და აქედან დაიწყო მისი პრაქტიკული, მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობა.

1953 წელს ბატონი ირაკლი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გადაწყვიტა, ხოლო 1959 წელს მას ანინაურებენ ახლად შექმნილ საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტში განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, სადაც კოორდინაციას უწევდა სამეცნიერო თემატიკას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას სოფლის მეურნეობაში.

1965 წელს ბატონი ირაკლი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გადაიყვანეს საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტში ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

1981 წელს ბატონი ირაკლი დავაშვილი ინიციატივით თბილისში ჩამოყალიბდა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის რესპუბლიკური ცენტრი, რომელსაც 1996 წლამდე წარმატებით უხელმძღვანელა, დაასაქმა 135-ზე მეტი სპეციალისტი და მნიშვნელოვნად წახსნა წინ ქვეყნის სოფ-

ლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის საქმე. 2013 წელს კოლეგებთან ერთად დააფუძნა „საქართველოს მინათმფლობელთა და მექანიზატორთა საზოგადოება“, რომლის პირველ თავმჯდომარედ იქნა არჩეული და დღემდე წარმატებით ასრულებს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. გამოქვეყნებული აქვს 70-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 400-ზე მეტი საგაზეთო პუბლიკაცია სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე. ხშირად მონაწილეობს სამეცნიერო შეხვედრებსა და კონფერენციებში. 2015 წელს ქ. ვარნაში გამართულ ევროპის ქვეყნების აგროინჟინერთა საერთაშორისო კონგრესზე სიტყვით გამოვიდა და მსმენელთა ინტერესი დაიმსახურა.

ბატონი ირაკლი დავაშვილი სამეცნიერო შრომებსა და საგაზეთო პუბლიკაციებში გაუქმებული უაღრესად პრობლემატური საკითხები, მოძებნილია მათი გადაწყვეტის გზები, რითაც დიდად შეუწყო ხელი სოფლად საინჟინრო აზროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებას. ბოლო პერიოდში წინგებად გამოცდა და უახლეს ისტორიას შემოუწახა თავისი მშობლიური სოფლისა და მთლიანად რაჭის ღირსეული შვილების ერის წინაშე დამსახურება. აგრეთვე საქვეყნოდ აღიარებული და გამოჩენილი დამაინათა მოღვაწეობის ბიოგრაფიული მასალები, რითაც ფართო საზოგადოების მაღლობა და პატივისცემა დაიმსახურა.

ღირსეულად არის დაფასებული ბატონ ირაკლი დავაშვილის ხანგრძლივი მრავალმხრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობა. 1971 წელს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოფლის მეურნეობაში ნაყოფიერი მუშაობისთვის მას მიანიჭა საქართველოს ინჟინერ-მექანიზატორის საპატიო წოდება. 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტმა დამსახურებული მოღვაწეობისთვის გამოუცხადა მაღლობა, ხოლო 1998 წელს დააჯილდოვა ღირსების ორდენით. 2017 წელს აგროსაინჟინრო დარგში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა საპატიო სიგელით და მიენიჭა მექანიზაციის დარგში ექსპერტის წოდება. არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და ტექნოლოგიურ-ჰუმანიტარული აკადემიის ნამდვილ წევრად. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს საკავშირო გამოფენის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ბატონი ირაკლი დავაშვილი მასშტაბურობა, ფართო თვალსაწიერი, ტექნიკის საფუძვლიანი ცოდნა და მაღალი აგროსაინჟინრო ოსტატობა, კოლეგებისა და ნაცნობ-მეგობრებში თბილი და გულკეთილი დამოკიდებულება გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ იგი ფართო საზოგადოების დაფასებასა და პატივისცემას იმსახურებს. გულითადად ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებულ მოღვაწეობას.

ელგუჯა შაფაძე,
ჯემალ კაციტაძე,
აკადემიკოსები;
გივი ქურდიანი,
საქართველოს დამსახურებული მექანიზატორი;
ნუზარ ებანიძე,
პროფესორი.

თბილისი - ხუთი ფასადის ქალაქი

თბილისს სამართლიანად უწოდებენ ხუთი ფასადის ქალაქს, რადგან თბილისში შენობების სახურავები ისეთივე სიხშირით სვდება თვალსაჩინო, როგორც ამავე შენობების ფასადები. ამ გარემოების გამო არქიტექტორი ვახტანგ დავითაია თავის ჩანაწერებში შენიშნავს, რომ სახურავების როლი თბილისის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში უზომოდ დიდია:

„ქალაქშიც და მის ირგვლივაც უამრავი ბუნებრივი მოედანია, საიდანაც შეიძლება ქალაქის პანორამის აღქმა - მათ შორის ისეთი ხალხმრავალი ადგილებიდან, როგორცაა: მთაწმინდის პლატო, ყოფილი კომკავშირის ხეივანი, მეტეხი, ბარათაშვილის აღმართი, არსენალის მთა, კოჯრის, წყნეთის, ლისის, კახეთის შემოსასვლელები და სხვა. ეს თავისებურება ავალდებულებს ხუროთმოძღვარს, ანგარიში გაუწიოს შენობის მესხეთე ფასადს - სახურავს.“

თუმცა უნდა ითქვას, რომ ავალდებულებებს მხოლოდ სადი აზრი, მორალი, პროფესიონალიზმი, გემოვნება, მაგრამ სხვა მხრივ „ხუროთმოძღვარს“ ხელ-ფეხი აქვს გახსნილი. სახურავების ფორმისა და ფაქტურის საკითხი არანაირად არ რეგულირდება კანონმდებლობით. შესაბამისად, მშენებლები ახალი სახლების აშენებისას ან ძველი ნაგებობების გადაკეთებისას სახურავების უნიკალურ როლს თბილისის იერსახის ჩამოყალიბებაში, როგორც წესი, არ ითვალისწინებენ.

„დღეს რომ გადმოხედავთ ქალაქს, გული გაგისკდებათ“, - ამბობს ხელოვნებათმცოდნე თათია ღვინგია. - „უყურებთ ქალაქს, მის რთულ მორფოლოგიას, ერთ დროს არაჩვეულებრივს, რომელიც პირდაპირ ხანჯვალისა და ჩარქობის პირობორციელებიდან და ფაქტურული აბსოლუტურად ამოვადნილი მოცულობის შენობები უწინ სახურავებით. ეს არის საშინელება, რეალურად ეს არის ტრაგედია!“

ვებით. ეს არის საშინელება, რეალურად ეს არის ტრაგედია!“

როგორ იხვლება სახურავების ფორმა და სტრუქტურა

თბილისის დაფერებული რელიეფის მჭიდრო განაშენიანება ძირითადად რიყისა და ფლეთილი ქვით ნაგები მცირე და საშუალო ზომის ბანური და ერდოიანის სახლებით იყო მოცული. დამრეც რელიეფზე ყოველი ქვედა ნაგებობის ბანური გადახურვა ზედა ნაგებობის სახლისწინა ეზოს წარმოადგენდა.

„ეს ყველაფერი ძალიან კარგად იყო ადაპტირებული თბილისის რელიეფთან, კლიმატთან, თბილისურ ყოფასთან. ამ ფაქტორების გამოყენებლობა დანაშაულის ტოლფასია“, - ამბობს თათია ღვინგია.

ქალაქის იერსახე რადიკალურად შეიცვალა XIX საუკუნეში, როცა, მოსახლეობის ზრდის პარალელურად, მკვეთრად გაიზარდა ქალაქი. შესაბამისად, შეიცვალა შენობები, მათი მასშტაბი, სტრუქტურა, არქიტექტურა, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა ბანური სახლების არქიტექტურისგან. შეიცვალა გადახურვაც. შემოვიდა ე.წ. ქანობიანი (ცალქანობა, ორქანობა) სახურავები, რომლებმაც პირდაპირი და გადატანილი მნიშვნელობით შთანთქმა ბანები.

„ბანები გადაკეთდა - შეიცვალა ან ორქანობიანი სახურავით, ან ზემოდან დააშენეს სართულები“, - ამბობს ლია ბოკუჩავა, ICOMOS საქართველოს დირექტორი. ამ დროს შენობების გადასახურვად გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის კრამიტი, რომელიც განუმეორებელ ფერადოვან გამას ქმნიდა

და ძალიან ალამაზებდა ქალაქს, თუმცა კრამიტი ძნელად მოსავლელი იყო და ამიტომ ის თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა ბევრად უფრო იაფმა და იოლად მოსავლელმა თუნუქმა, რომელიც მასობრივად შემოვიდა თბილისში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან.

„თუნუქი იდებოდა მონითალო ფერებში და ფერთა ეს შესამეხურო მონაცვლეობა ქმნიდა ხალიჩის ხურავები ლამის ყველა წერტილიდან მოჩანს. ქალაქი ხელისგულივით არის გადაშლილი. ცნობილი ადგილები გარდა, ქალაქი ჩანს საბაგირო გზებისადაც.“

თბილისში ფართოდ არის გავრცელებული შენობებისთვის სართულების დაშენება, რაც კიდევ უფრო აუშნოებს ქალაქის იერსახეს. ხელოვნებათმცოდნე თათია ღვინგიაც მიიჩნევს, რომ „მესხეთე ფასადი“, ეს თვალსაჩინო და ერთიანი სურათი ქალაქისა, წლიდან წლამდე უარესდება. ახალი სახლების აშენებისას ქალაქის ამ განზომილებას არანაირი ყურადღება არ ექცევა, ისევე როგორც არავინ ზრუნავს წლების წინ დამახინჯებული „მესხეთე ფასადის“ იერის გამოსწორებაზე. გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის განვითარების ფონდი, რომელიც ისტორიული შენობების რესტავრაციითა დაკავებული. ფონდის დირექტორის გიორგი ბაიდარაშვილის თქმით, სახურავის რესტავრაციას და განახლებას ისეთივე ყურადღება ექცევა, როგორც შენობის დანარჩენი ნაწილისას.

„ყოველთვის ვცდილობ როგორც ფერის, ასევე კონსტრუქციის და ფაქტურის შენარჩუნებას. შენობისადაც, ჩვენ არ გვქონია არც ერთი შემთხვევა, რომ არ დაგვეზღუდინოს ძველისთვის ავტენტური სახურავი. შეგვხვდებოდა თეთრი თუნუქის გადახურვები (გადაუდებელი დონისძიებების დროს რომ გაკეთდა, წყალი რომ არ ჩასულიყო), რომელიც აღგვიდგენია სათანადო პარამეტრებით. პროექტივე გვაქვს ხოლმე ჩადებული სახურავის ფორმის, სტრუქტურის და მასალის მასისათვის. გვეხმარს, რომ ეს არის ქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე, განსაკუთრებით ძველი ქალაქისთვის. ალბათ, ვერ მოხერ-

ხდება კრამიტის გადახურვების აღდგენა, რომელიც მძიმეც არის და ძვირიც... მაგრამ გადახურვის ფერს აუცილებლად ვითვალისწინებთ ხოლმე. ჩვენი მიზანია, ქალაქს დაეუბრუნოთ ის სახე, რაც წლების წინ ჰქონდა და რაც მიმზიდველი იყო“, - უთხრა გიორგი ბაიდარაშვილმა რადიო „თავისუფლებას“.

თუმცა თბილისის „მეხეთე ფასადის“ იერსახე მინც ცალკეული ფიზიკური თუ იურიდიული პირების კამილ ნებაზეა დამოკიდებული, რადგან არ არსებობს კანონი ან სხვა სახის ნორმატიული აქტი, რომელიც ინვესტორის ნებას დამორჩილებული არაპროექტული მრავალსართულიან ფანტაზიებს ჩარეზობს მონაძევეს.

„თბილისმა უნდა მიიღოს კანონი ან დადგენილება, რომლითაც განისაზღვრება, სად როგორ უნდა გადაიხუროს შენობები, რა მასალა უნდა იქნას გამოყენებული - კრამიტი, თუნუქი თუ კიდევ სხვა რამ. საჭიროა ერთიანი მიდგომა. ახლა ვის როგორ უნდა, იმ აშენებს და რითაც უნდა, იმით ხურავს. არც ფერს აქცევს ვინმე ყურადღებას და არც მასალას, რაც ძალიან აჭრელებს (ცუდი გაგებით) ქალაქს. ადრე აქცენტი იყო ეკლესიების და შენობების, ეს აქცენტი თანადათან დაიკარგა, ჩაიყლაპა ახალი, უწინ შენობების მიერ. ახალი მშენებლები გამოუწილებენ ზიანს აყენებენ თბილისს. არ ფიქრობენ ქალაქსა და მის მომავალზე, ფიქრობენ მხოლოდ სიმაღლეზე“, - ამბობს ლია ბოკუჩავა.

რაც შეეხება თბილისის „მესხეთე ფასადის“ ტრადიციულ მასალასა და ფერს, ესაა მონითალო ტონებში შეღებილი თუნუქი, აფურისფერი, შინდისფერი... - ფერები, რომლებიც ყველაზე მეტად უხდება თბილისს.

ჯიჟიშვი რინკიაშვილი,
ინჟინერი

საღვთო დალი თაჟისი მკვლელ უღვაშის თაობაზე

ულვაში საღვთოდ დალის სავიზიტო ბარათად ექცა, სულ იმის გადაყოლილად მოვლასა და ლოიალობაში იყო, რამეთუ ის საკუთარი პიროვნების შემადგენელ ნაწილად მიიჩნდა.

დიდ მხატვარს მეტად თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა საკუთარი უღვაშის მიმართ: მუდამ უცნაურად იყენებდა, უღვაში ჩემი ანტენა და რადიო-ლოკატორიაო, ზედ მარქსის ზმის წარმომადგენელთა პორტრეტებს იკიდებდა, ხანსად კი ცოცხალი ადამიანის გრძობებსა და ემოციებს მიანერდა.

დალი არაჩვეულებრივი და ფრიად საგულისყურო ადამიანი იყო, რასაც იმისი უღვაშიც ცხადყოფდა. დალის უღვაშს სუყველა ცნობს, ის დიდი მხატვრის იერსახის თავისებური სიმბოლო გახდა.

ერთხელ, როგორც კი ჩემი უღვაშის წვერებზე ორი პატარა ალუბლის მარცვალი გაბრწყინდა, მზისკენ ზურგმქცეულმა ვიგრძენი, რომ ის ჩადიოდა.

ყოველგან კრთოდა ბებე ბერნარის წვერი, რომელიც ჩემს უღვაშს თუ არ ჩავთვლით, პარიზში ყოვლის უფრო ინტელიგენტური წვერი იყო თრიაქისა და ლე ნანინის რომანული დეკადანსის ლაქებიანი.

...მველაფერში ნიცივს ჯობნა მინდოდა, თვით უღვაშის მხრივაც კი! ჩემი უღვაში არც სევდას მოჰგვრის ვისმე, არც კატასტროფის აზრს გაუჩენს, არც ხშირ ნისლსა და ვაგნერის მუსიკას მოაგონებს! მე წვერებნამახული, იმპერიალისტური, ზერაციონალისტური უღვაში მექნება, ცისკენ მართული ვერტიკალური მისტიციზმისა და ვერტიკალური ესპანური სინდიკატებისა და მსგავსად.

მომნებ, ან კეპილი უღვაში მამაკაცთ ანტენის მაგივრობას უწევს.

როგორც ჩანს, უღვაში მართლაც სახელს მოიხვეჭს! შესედე ერთი, ნახევარ საათსაც არ გაუვლია და უკვე გადავწყვიტეთ ჩემი თუ ჩემზე მთელი ხუთი წიგნის გამოცემა! ჩემმა სტრატეგიამ უკვე ჩემდამი მოძღვნილი ურიცხვი თხზულება მომიტანა, მთელი მულამი კი ის არის, რომ ჩემი ანტინიცუანური უღვაში ბურგოსის ტაძრისებრ მუდამ ცისკენაა მიმართული.

ნიცხის ჩამოშვებული, ფალაზა უღვაში ველასკესის მხენე და ხალისიანი უღვაშის სრული საწინააღმდეგოა, რომ აღარაფერი ვთქვათ თქვენი გენიალური მონა-მორჩილის ულტრამარტორქისებრ უღვაშზე.

რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი, ყოველთვის ყურადღებას ვაქცევდი ადამიანის სხეულზე ბალანსს და არა მარტო ესთეტიკური მოსაზრებით, ანუ არა იმიტომ, რომ ბალანსის მიხედვით განმესაზღვრა, რამდენი ოქრო აქვს ადამიანს (როგორც ცნობილია, ბალანი და ოქრო ხომ მჭიდრო ურთიერთკავშირშია), არამედ აგრეთვე უღვაშის ფსიქოპათოლოგიის. მამაკაცის ხასიათის ამ ტრაგიკული კონსტანტის, ანუ მუდმივი სიდიდისა და სახის უცილობლად ყოვლის უფრო მჭვერემეტყველი ნიშნის თვალსაზრისითაც.

დალიურ პირველ მაისს სადღესასწაულო ვითარებაში ვზევიმობ გააფთრებული რუდუნებით, რისთვისაც საამო შემოქმედებით ტანჯვა-წამება აღმძრავს. არცროდის აგრეთვე გრძელი არ ყოფილა ჩემი უღვაში, მთელი ჩემი ტან-ასო ტანსაცმელშია ჩაკეტილი. მარტოდენ უღვაშია ან კეპილი.

ჩემი ქრისტე ყოვლის უფრო წყალჯავარიანია. თავს არც ისე დალილად ვგრძნობ, უღვაში ჩემი მიმართულია ცისკენ.

ჩემი უღვაში განუწყვეტილ ირხევა და ამის გამო არცროდის ერთნაირი არ არის ზედიზედ ორი დღეც კი. ამჟამად ის გაუმართავია, რამეთუ ერთი საათით ამერია თქვენი სტუმრობის დრო. ამას გარდა, ის ჯერეთ კიდევ არ ამუშავებულია. არსებითად, მხოლოდ ახლად ფხიზლდება, ახლად გამოდის ზმანებათა და ჰალუცინაციათა სამყაროდან.

ავღაძი და ჩემი უღვაშის წვერთ ორი მცენარეული ბოჭკო მივამაგრე. ამ ბოჭკოთ განუწყვეტილ დაგრებისა და დაცვარის იშვიათი რამ უნარი აქვთ. მერმე ერთ ახალგაზრდა კაცს ვუჩვენე ბუნების ეს სასწაული. აგრე გამოვიგონე უღვაში-რადიოლოკატორი.

ნასადილევს იმის ფიქრში ჩავიძინე, რომ მალე მეფე ჩამოვიდოდა, რომელიც ძაფს გაუყრიდა პანანინა ნაწერებებს ჩემი უღვაშის წვერებზე უსმინის ორ ყვავილს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №196-203

დესერტად, ანუ სალილობლად, ინდის ხურმას ვუკვთავ, ვჭამ და როს ვამთავრებ ჭამას, ვიდრე ხელეხს წყალჩამდგარ ჯამში ჩავიბანდე, ჯერეთ მსუბუქად ვისვამ უღვაშზე. და ეს სავეებით საკმარისია, რომ უღვაშმა თავისი ფორმა შეინარჩუნოს.

მებრამ ფილიპ ხალსმანს სტრობოსკოპული სურათების გადასაღებად აუცილებელი აღჭურვილობა არ აღმოაჩნდა და მე იქვე, ფეხმოუცვლელად, ვიღებ მარქსის ფაჩვნიერი ისტორიის ფოტოგრაფიულ სურათს. ამ მიზნით ჩემთა კაპელთა ნაცვლად უღვაშზე ექვს თეთრ ქაღალდის რგოლს ვიკიდებ. ამ რგოლთაგან თითოეულში ხალსმანი რიგის მიხედვით, ერთმანეთის მიყოლებით სვამს პორტრეტებს: ლომის ფაფარაშლილი და წვერებიანი კარლ მარქსისას, ასეთივე, ოლონდ ნაკლებად ფაჩ-



ვნიერი ენგელსისას, თითქმის სრულიად მელოტისა და მეჩხერი წვერ-ულვაშიანი ლენინისას; ხშირულვაშიანი სტალინისას და, ბოლოს, პირწმინდად გაპარსული მა-ლენკოვისას. ვინაიდან ჩემს განკარგულებაში კიდევ რჩება ერთი რგოლი გულთმისანსავით ვინახავ მთვარისებრ თავპრიალა ხრუშჩოვისთვის. ამჟამად ხალსმანი თავზე შერჩენილ რამდენიმე ლერ თმასაც იგლეჯს, მეტადრე რაც რუსეთიდან დაბრუნდა, სადაც ეს ფოტოგრაფია იმ ფოტოს სურათების რიცხვში მოხვდა, რომლებიც იმ ნიგნში დაიბეჭდა, „დალის უღვაში“ რომ ჰქვია და ნამეტანი ხმაურიანი წარმატება ხვდა.

მის ეყოფოდა ერთადერთი კვერცხის აფეთქება, რათა თავის განუმეორებელ უღვაშზე ჩამოეკიდებინა მარქსისთვის მთელი წარსული და მომავალი ისტორია?

საბულისყურო სეპეტი აპტოპიოგრაფიული ნიგნებიდან

„საღვთო დალის საიდუმლო ცნობება, თვითონ იმის მიერვე მოთხრობილი“, 1942, და „ერთი ბანიოსის დღიური“, 1964.

საღვთო დალის ბიოგრაფია ცხრაკლიტულის საიდუმლო არ არის, ამ საოცარი ადამიანის ცხოვრების ბევრი ფაქტი არაერთხელ გაშუქებულია ლიტერატურასა და იმის თანამედროვეთა მოგონებებში. და მინც დალის თავისი განუმეორებელი შეხედულება ჰქონდა საკუთარ ბიოგრაფიაზე, ხანსად ლირიკული, ზოგჯერ ცოტაოდენ ექსცენტრიული, მაგრამ მასზე უკეთესად ვის უნდა სცოდნოდოდა, რა როგორ იყო სინამდვილეში. თავის ცხოვრებას რომ აღწერდა, დალი თავისი გულწრფელობით მკითხველისთვის თავგზის აბნევას ესწრაფოდა, მაგრამ იმავე დროს საკუთარი განცდებისა და მოგონებების შინაგანი სამყაროს გაღივება ეწადა.

მომნებ, ჩემს მკითხველთ სავეებით არ ახსოვთ ანდა ძალიან ბუნდოვნად ახსოვთ დედის მუცელში ყოფნის ფრიალ მნიშვნელოვანი დრო, ამქვეყნად მოვლინებას წინ რომ უძლოდა. მე კი გუშინდელ დღესავით მახსოვს. აი, რატომ დავინყებ სულ თავიდან — ჯერეთ კიდევ დედის ნიაღში სიცოცხლის კანთიელი და იშვიათი მოგონებებით...

დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველს მსგავს მოგონებებს გავუღვიძებ, ანდა სულ ცოტა, მივეშველები მაინც, რომ ცნობიერების ნაკადიდან გამოყოს პირველი განუსაზღვრელი და აღუწერელი შთაბეჭდილებანი, სულისა და სხეულის მდგომარეობის იერსახე, ჯერეთ კიდევ დაბადებამდე თავისი ბედ-იღბლის რაღაც წინათგრძნობაში ხორცშესხმული...

მართლაც, ჩემს იმჟამინდელ შეგრძნებათა გამო რომ მეკითხებოდნენ, ეგრევე ვუპასუხებდი: „იქ ისე კარგად ვიყავი, როგორც სამოთხეში-მეთქი“. მერედა, როგორი იყო ის სამოთხე? მოთმინება იქონიეთ და არცრა წვერილმანი დიდხანს არ გალოდინებთ. დავინყებ საერთო შეგრძნებებიდან. დედის მუცლისეული სამოთხე ჯოჯოხეთის ალის ფერია. ერთმანეთს შესამებულია წითელი, წარინჯისფ-

რი, ყვითელი, ლურჯი. ეს ლბილი, უმოძრაო, თბილი, სიმეტრიულად გაორწინებული და ბლანტიე სამოთხეა. უკვე მაშინ გვძღვნიდა ის წინასწარ ტკობას სუყოველი სიმოვნებისგან და სუყოველი ფერისგან. ყოვლის უფრო დიდებული იყო ორი ჩახლილი კვერცხის ერბოკვერცხი, სივრცეში გამოკიდებული. სულაც არ ვეჭვობ, რომ სწორედ აქ არის მიზეზი ჩემი ძრწოლისა და მღელვარებისა, რასაც სრულიად ჩემი ცხოვრების მთელ სიგრძეზე განვიცდიდი ამ ხატოვანი ჰალუცინაციის წინაშე...

რათა ეს ამბავი ხელახლა ვიგრძნო, საკმარისია ჩანასახისთვის დამახასიათებელი პოზის მიღება: დახუჭულ თვალებთან მუჭები უნდა შევკუმშო. ეს მცირედ ბავშვურ თამაშს გვაგონებს, ოდეს თვალბნინ ფერადი რგოლები ჩნდებიან (რომელთაც ხან „ანგელოზთ“ უხმობენ). ესეგვარ შემთხვევებში ნოსტალგიამოძალებული ბავშვი ემბრიონულ პერიოდზე მხედველობასთან დაკავშირებულ მოგონებათა ძიებისას ტკივილის მომგვრელად ატანს ძალას თვალის ბუდეებს. ამ დროს გაჩენილი შუქისა და ფერის ლაქები გამოაცოცხლებენ ხოლმე ანგელოზთა შარავანდედ-გვირგვინთ, ოდესღაც ხილულს დაკარგულ სამოთხეში.

შვიდი წლისას ნაპოლეონობა მინდოდა... გეტყვი, როგორც მოხდა ეს ამბავი: ჩვენი სახლის მეორე სართულზე არგენტინელი მატასები ცხოვრობდნენ...

სალამოს ექვსი საათისთვის სალონში დიდებული ტაბლის ირგვლივ, რომლის თავზეც ყარყატის ფიტული ეკიდა, მატეს, პარაგვაიული ჩაის, დასაღვებად თავი მოიყარეს მოხდენილმა, ხშირთმინამა ადამიანებმა, ყველანი არგენტინული აქცენტით ლაპარაკობდნენ. მატე დიდი ვერცხლის თუნგიტ შემოჰქონდათ, რომელსაც ერთი რომ მოიყუდებდა და დაღვება, ახლა მეორეს გადასცემდა, მეორე — მესამეს და აგრე, ყველას პირს მოივლიდა თუნგი. პირთა ეს მჭიდრო სიახლოვე განსაკუთრებულად მღელვებდა და სულში ვნებათა ქარიშხალს მიჩენდა, რომელშიც უკვე ელავდნენ ექვიანობის ეკლები.


მეც ვიდექი და როგორც კი ჩემი ჯერი დგებოდა, ჩემს გემოზე ვწრუპავდი თავლზე ტკბილ სითხეს, თავლი კი სისხლზე ტკბილი იყო. დედაჩემი ხომ ჩემი სისხლი, მუდამ აქ იყო. ჩემი საზოგადოებრივი ჩამოყალიბება, ამრიგად, საზეიმო სვლა იყო ბავიდან ბავზე, პირიდან პირზე და მოვისურვილ-მოვიწინაზე ნაპოლეონის თასის შესმა, რამეთუ იმპერატორიც აგრეთვე მეორე სართულის სალონში ბრძანდებოდა, ხოლო უკეთუ ახლა საკუთრივ იქ არ იყო, სამაგიეროდ, ჩვენს მატეს სმას ესწრებოდა იმისი გამოსახულება პატარა ხის ლადუკის გვერდზე, გინდა სადგომელა თქვით, რომელშიც მატე ესხა. ეს ნაპოლეონი, ოლიმპიურად ზვიადი, თეთრ და მადლარმუცლიანი, ვარდისფერ, მსუქან იმპერატორულსახიანი, შავთავსაბურავიანი ზედმინეწნით შეესაბამებოდა ჩემს წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ როგორი მონარქი ვიქნებოდი მე თვითონ.

(გაგრძელება იხმება)



1928 წელს ჩემს მშობლიურ ფიბარასში ლეპცია ნავიკითხა. თავმჯდომარეობდნენ ძალაქის მერი და ალბილოპრიტი აპტოპიტაბი. დარბაზში უჩვეულოდ მერი სხლი იყო, ჩემი ენაწყლიანობა მკვინვარად დავამთავრე: „ძალბატონეაო და ბატონეაო, ლეპცია დამთავრებულია!“ ტონი უკმაინი და კადნიერი მქონდა. დარბაზმა ვერ გაიგო ჩემი სიტყვის ბოლო, მე ბაზრახუბული ვიყავი, რომ ცუდად მისმენდნენ და ჩემს აზრს საჭიროებისამებრ არ აღიქვამდნენ, მაგრამ როგორც კი სიტყვა „დამთავრებულია“ წარმოვთქვი, ძალაქის მერი უპრამოგულად დავცა ჩემს ფანებთან.

შეუძლებელია იმის აღწერა, რაც იმ ხდებოდა, ეს კაცი ხომ დიდად მოკუშლარული და პატივცემული იყო თავის თანამშრომელთაგან. იუმორისტული გაზაქათები აპტოპიტაბდნენ, რომ მე ბავსავსათე ჩემი საზარალი ლეპციით. სინამდვილეში, გულის ანგინის შეტევას ნაეპცია მოულოდნელად.



რუსული გაზეთი „Новые Известия“ აქვეყნებს რუსი ბლოგერის არტურ შიგაპოვის მასალას აფხაზეთის შესახებ, რომელიც სექტემბრის ბოლოს სოხუმის მონახულების შემდეგ დაწერა.

25 წლის წინ იარაღით მოპოვებული დამოუკიდებლობა ცუდად მიუტრიალდათ აფხაზებს – აღმოჩნდა, რომ ამ ერს არ შეუძლია საკუთარი ეფექტური სახელმწიფოს აშენება და ის განწირულია – მას ჩაყლაპავს ან რუსეთი ან საქართველო.

ასეთ არასახარბიელო დასკვნას გააკეთებს ნებისმიერი სალად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც ეწვევა ამ უცნაურ, არავის მიერ არაღიარებულ კვაზისახელმწიფოს.

მე გადავკვებო რუსეთ-აფხაზეთის პირობითი საზღვარი იქაური გამარჯვების დღეს. პირობითი იმიტომ, რომ პასპორტებს ამომეებს მხოლოდ რუსული მხარე, აფხაზებს კი საერთოდ არ აინტერესებთ.

25 წლის წინ დასრულდა ქართულ-აფხაზური ომი და ქართული ჯარის ბოლო ნაწილებმა დატოვეს ამბოხებული მხარე. მას შემდეგ ახალგაზრდა რესპუბლიკამ მიიღწია წარმატებებს მხოლოდ სახელების შეცვლაში – სოხუმი გახდა „სუხუმი“, ხაჭაპური – „ხაჭაპური“, ტყემალი – „ტყემალ“. ისეთ წვრილმანებზე, როგორც საკუთარი ვალუტა, გზები, სარკინიგზო სადგურები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და საკურორტო ინფრასტრუქტურა – ვერ მოიძებნა ვერც დრო და ვერც ნება.

1. ადგილობრივების მთავარი თავის მართლება – „ჩვენ ვართ პატარა და ღარიბი ქვეყანა, ვაკეთებთ მხოლოდ იმას, რაც საჭიროა პირველ რიგში...“ როგორც ჩანს, პირველი რიგის საჭიროებაა საკუთრების „ახევა“ და მაღალი კლასის ავტომობილების ყიდვა, რომლებსაც ხშირად ნახავთ მახინჯი ბარაკების გვერდით.

2. მე მივემგზავრები აფხაზეთის დედაქალაქში ქვეყნის ერთადერთი გზატკეცილით, რომელიც მეტ-ნაკლებად ნორმალურ მდგომარეობაშია. დანარჩენი გზები პირობითია და წააგავს იმას, რასაც ხშირად ნახავთ ღრმა და ყრუ რუსულ პროვინციაში.

3. სამარშრუტო ტაქსის მგზავრები ულოცავენ ერთმანეთს გამარჯვებას, გზის გასწვრივ დაყენებულია მანქანები, რომლის ძრავის საფარზეც გაშლილია სადღესასწაულო პურმარილი. სოხუმის შესასვლელში გამოკრულია დაღუპული მეომრების სურათები, გვერდით დგანან მამაკაცები და მიირთმევენ ღვინოს.

4. აქ ომი არის არა შორეული წარსული, არამედ დღევანდელი დღე. ყოველ შემთხვევაში ასეთი გრძობა გეუფლება მაშინ, როდესაც უყურებ ტყვიებით დასერილ შენობებს, რომლებიც სოხუმში ყოველ ნაბიჯზე გხვდებათ.

ქეპო, აფხაზებო, სახელმწიფოებრიობას დამსახურება უნდა!

აფხაზებმა უნდა დაივიწყონ წარსული წყნა და დაბრუნდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში

5. სანაპიროზე ლურჯი „ჟიგულიდან“ გამოდის ახალგაზრდა ბიჭი ავტომობილზე ხელში, აქვე სანაპიროზე მიდიან რუსი ტურისტები.

6. სხვათა შორის, ესაა სოხუმის სანაპირო ბულვარი, სადაც, როგორც ამბობენ, ქერა ქალი მშვიდად ვერ გაივლის. შევამოწმე – სისულელეა, აქ მოსიერნე „ბლონდები“ არავის ადარდებთ.

თუმცა, აქ როგორც წესი ჩამოდიან უკვე დიდ ხნის ჩამოწერილი „ბლონდები“ მკაცრი რუსული პროვინციებიდან. აქ ისინი თავიანთ სტიქიაში არიან.

7. აბა რა. ნორმალურ ადამიანს თავში აზრად ხომ არ მოუვა დაისვენოს ქალაქში, სადაც არ არის არანაირი ტურისტული ინფრასტრუქტურა, ხოლო თავად დედაქალაქი უფრო წააგავს 90-იანი წლების დასაწყისის დაბეჩავებულ რუსულ რაიონულ ცენტრს.

8. სხედან საქმიანი აფხაზი მამაკაცები და ბჭობენ – რა გაუკეთონ ამ ყველაფერს – როგორ უნდა ალადგინონ მიტოვებული კურორტი.

9. რა მოუხერხონ ნახევრად დანგრეულ პავილიონს წყალზე, პრეზიდენტის სასახლისგან სულ რაღაც 200-300 მეტრში რომაა? ასევე ასობით დანგრევის პირას მისულ შენობას?

10. აქაური ორიგინალური ტრადიციების მიხედვით, ომის შემდეგ ნებისმიერ მსურველს (უმჯობესია ავტომობილზე ხელში), შეეძლო შესვლა ქართველების მიერ მიტოვებულ ნებისმიერ სახლში, დაეწერა ჭიშკარზე თავისი გვარი და სიტყვა „დაკავებულია“ – სულ ეს იყო საჭირო ახალი უძრავი ქონების შესაქნად. რა იქნება მერე – არავის ანაღვლებს წლების მანძილზე ეს პრობლემა ვერ გადაწყვიტეს – ისევე, როგორც ყველა დანარჩენი.

11. „ეჰ, ისევე ვერაფერი მოვიფიქრეთ“ – ამბობენ საქმიანი აფხაზი მამაკაცები. „მოდით, აჯობებს, აღვნიშნოთ გამარჯვების დღე“. სხედნიან თა-

ვიანთ მერსედესებში, გააკრავენ დროშებს და დაძრწიან მთელ ქალაქში... იგულისხმება მთელი ქალაქის იმ ნაწილებში, სადაც არის გზა.

12. დღესასწაულს აღნიშნავენ რესტორან „სოხო“-ში – ეს არის ბინძური ფარდული ნახევრად დანგრეული შენობა სოხუმის სანაპიროზე.

13. მე კი ვლაღადებ ჩემთვის – რას აკეთებთ? იქნებ დაიწყოთ საბავშვო გასაბერი ატრაქციონით, გარეცხეთ ის – ცხოვრებაში არ მინახია ასეთი ბინძური ატრაქციონი. თანაც კაპიტალდაბანდებად საკმარისია მხოლოდ წყალი და ტილო.

14. შედარებითი წესრიგი და ცივილიზაციაა სოხუმში, პრეზიდენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

სატრანზიტო დერეფანი სამხრეთ კავკასიასა და რუსეთს შორის, ულამაზესი ბუნება, მშვენიერი სანაპირო და ასეთი ისე ანყობილი საბჭოთა ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომლის მოდერნიზება არ წარმოადგენს არანაირ პრობლემას. მაგრამ არა...

20. აფხაზურმა ელიტამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გაეფუჭებინა ურთიერთობები იმდროინდელ ქართულ ხელისუფლებასთან, შემდეგ კი ისინი გამრულად ესროდნენ საკუთარ ქალაქებს არტილერიიდან.

21. მერე გაყარეს ნახევარი მოსახლეობა – სხვათა შორის, მშრომელი მოსახლეობა და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ისინი არ დაბრუნდნენ.

22. რა არის საშირო იმისთვის, რომ აფხაზთა თავი დააღწიონ დღევანდელ მდგომარეობას? დავლაგდეს ურთიერთობა ქართველებთან, გაიხსნას საზღვრები.

23. თუმცა, ამის ნაცვლად მათ ხელი ჩაიქნეს მომავალზე, ფიქრობენ მხოლოდ საკუთარ ვიწრო პრობლემებზე, ერთადერთი იმედით – დიდი მეზობელი რაღაცნაირად გვარჩენს, მერე კი ვნახოთ, რა იქნება. თანაც პასპორტები ყველას რუსული აქვს...

24. გამარჯვების დღე სოხუმში აღინიშნება ძალიან უცნაურად. მუსიკა ისმის მხოლოდ ერთ ადგილას, სანაპიროზე. თურმე ეს კრიშნაიდები ყოფილან.

25. ქუჩაში ჩხუბობენ მთვრალი მამაკაცები, საღამოს საზეიმო ფეიერვერკებთან ერთად, გარკვევით ისმის ავტომობილის ჯერის ხმა. გამახსენდა ის ავტომობილანი ბიჭი სანაპიროზე. დროა, უნდა დავახვიო აქედან. სანყა-



თუმცა მერიას ეს არ ეხება. მის წინ გზაჯვარედინზე შეუქნიხანაც კი არ მუშაობს.

15. მეზობელ ქუჩებზე ასფალტიც არ არის. ტროტუარებზე საერთოდ არაა საუბარი. ასეთები მინახია მხოლოდ ყველაზე ჩამორჩენილ აზიურ ქვეყნებში. როგორ დადიან აქ ადგილობრივი ქალები, თანაც მაღალ ქუსლებზე, გაუგებარია.

16. თუმცა, საპრეზიდენტო რადიუსშიც ყოფილი უფარდელი ცხოვრება ჩანს, მხოლოდ ეპიზოდურად. აქაურობა გაიყინა 1993 წელში და ნელ-ნელა ლპება და ინგრევა.

17. იქნებ უთხრათ მოსკოვის მერიას, დაგიგონ ახალი ქვაფენილი?

18. თუმცა, არავინ დარჩა, ვისაც შეუძლია, მოვიდეს, გაარემონტოს, ან რამეს გაუკეთოს რესტავრაცია. აფხაზეთის მიტოვებულ შენობებზე შეიძლება გაკეთდეს ცალკე სათავგადასავლო ტურები. განსაკუთრებით საინტერესოა სოხუმის მშვენიერი სარკინიგზო სადგურის ნარჩენები და ომის დროს დაშვარი მთავრობის სასახლე, რომელსაც ამჟამად მორცხვად ეფარება საზეიმო ტრანსპარანტი.

19. ეს მაშინ, როცა აფხაზეთის ადგილობრივებმა გარანტია უფარდელი ცხოვრების - სტრატეგიული

ლი, სანყალი, სანყალი რუსი ტურისტები, რა ეშმაკმა მოიყვანა ისინი აქ...

26. რა უშვალის აფხაზთა, თუნდაც იმათ დონეზე რომ მივიდნენ, ვინც გააგდეს 25 წლის წინ? ჩემი აზრით, აფხაზებმა უნდა დაივიწყონ წარსული წყნა და დაბრუნდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში.

რუსეთისთვის აფხაზეთი არის პატარა და უმნიშვნელო ანკლავი, რომელიც დიდად საინტერესო არაა, საპარტოველო შიშვანდელ-ლოგაში კი აფხაზებს აქვთ შანსი ალაღვიონ კანონიერება და წინ წაწიონ ეკონომიკა.

თუმცა, ამისთვის საჭიროა შიშვანდელის მიღწევა – ჩვენ კი ამაყი ვართ, არა? სხვათა შორის, ეს ქართველებსაც ეხებათ.

ამიტომაც, ერთადერთი, რაც დღეს ჩანს, არის დასურული საზღვარი და საჩუქავლთაო გზა. სწორედ ესაა აფხაზური სინამდვილე, მრავალწლიანი მრავალწლიანი, ამ ნახევრად დამოკიდებული „სახელმწიფოებრიობის“ გაძრობა.

სხვათა შორის, სახელმწიფოებრიობას ჯერ კიდევ დამსახურება უნდა, ჩემო სამხრეთელი მეზობლებო.

თენგიზ აკლოთია

ფეხბურთი

აქასას მოვესწარით

დღეს 20 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ დაიწება ახალი ტურნირის – უფასო ერთა ლიგის გათამაშების ფეხბურთი რაუნდის მესამე ტურის მატჩი: საქართველო – ანდორა.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ვლადიმერ ვაისის გუნდი პირველი წრის ფინალში საკუთარი კვარტეტის ერთპიროვნული ლიდერის რანგში ხვდება, თუმცა, ჩვენი მდიდარი საფეხბურთო წარსულის გათვალისწინებით საზეიმოდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე, რადგან მეტოქეთა მაჩანჩალობა თავმოყვარე ქვეყნის წარმომადგენელთა და გულშემოტიკივართათვის ლოკალურ წარმატებათა ლოგიკურად აღქმის უნარს სრულიად არ გამოხატავს.

ალბათ, პირიქით – საკვირველი უფრო ისაა, რომ სტუმრებს გაჭიანურებული დაუმარცხებელი სერია გამოარჩევთ და „ჯვაროსანთა“ უახლოესი მდევრები არიან. თანაც, თუ მასპინძელთა უმე-

ტესობა თავს ლეგიონერობითა და სარფიანი კონტრაქტებით ინონებს, ჯუჯა სახელმწიფოს ქვეშევრდომი სამშობლოში მასწავლებლობითა და სასტუმროს მენეჯერობით შოულობენ ლუკმაპურის ფულს.

მოკლედ, იმედი ვიქონიოთ, რომ დღეს კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ მთავარი მიზნისკენ – 2020-ის ფინალური ეტაპისკენ და ჩვენს ტოლწონეებთან ბრძოლაში მაინც გავამართლებთ ფავორიტის სტატუსს.



UEFA NATIONS LEAGUE

საქართველო

მეპარტიები: ლორია, კვასცხაძე, კუპატაძე; მცველები: კაკაბაძე, კვიციანი, ხოჭოლაძე, კაშია, დვალი, ნავალოვსკი, ტაბიძე; ნახევარმცველები: კანგავა, კვეკელი, აბურჯანია, გვილია, კიტეიშვილი, ანანიძე, მერეზაშვილი, ჩავეჭავაძე, ოქრიაშვილი, ყაზიშვილი, ჯილაური, ზარანდია, ჭანტურიშვილი; თავდასხმები: კაჭარავა. გიორგი შოთაძე

სივარტლე კი ასეთია


ნუგზარ ტატლაშვილი: ჩემთვის სხვა ქვეყნის სხელით ასპარეზობა წარმოუდგენელია

ძარტველმა ძიუდოსტმა ნუგზარ ტატლაშვილმა სპეციალური განცხადება გააკეთა, რითაც მის გარშემო ბოლო პერიოდში შექმნილ ვითარებას გამოეხმაურა. შეგახსენებთ, რომ მთავარი სპონსორი თანახმად, ტატლაშვილს არაბეთის ვაერთიანებული საამიროების სახელით ასპარეზობა სურდა, თუმცა, მისი გაშვება საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ არ ისურვა. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი სხვაგვარად ყოფილა...

„ქვირფასო მეგობრებო, მსოფს, გამოვეხმაურო ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც ქვეყნიდან ჩემს შესაძლო გადასვლას ეხება. ასეთი დაინტერესება ნამდვილად იყო ერთ-ერთი ქვეყნის მხრიდან, თუმცა, სრული პასუხისმგებლობით მინდა, განაცხადო, რომ მოლაპარაკებებს სერიოზული სახეც კი არ მიუღია, რადგან ვერც კი წარმომიდგენია ჩემი თავი სხვა ქვეყნის სახელით მოასპარეზე. მკვირდზე ქართული დროშა ჩემთვის განსაკუთრებული და შეუცვლელია.“

როგორც იცით, მაისში გავიკეთე ფხის საკმაოდ სერიოზული მე-2 ოპერაცია და სწორედ ამის გამო ბოლო პერიოდი არ ვასპარეზობდი, თუმცა ცხადია, ვარჯიშს ვაგრძელებდი და არც ერთი დღე გამიცდენია. სარეაბილიტაციო კურსი ფაქტობრივად დასრულდა. ადვილი არ იყო ამ ყველაფრის გადატანა, თუმცა თქვენი გულშემოტიკობა უდიდეს ძალადა და მოტივაციას მმატებდა. თითოეულ უიმედო განცდას მაშინვე თქვენი იმედი აქარწყლებდა.

ახლა ვვარჯიშობ სრული შემართებითა და დატვირთვით. მიმდინარე სეზონიდან კი ვერთვები ჩემს წონით კატეგორიაში აქტიურ კონკურენციაში და იმედი მაქვს დიდი გამარჯვებების, რომელსაც ერთად მოვიპოვებთ.



განსაკუთრებული მადლობა ყველას – ჩემს ოჯახს, მეგობრებს, გულშემოტიკივრებს, ექიმებსა და სამედიცინო დაწესებულებებს, მწვრთნელებსა და თითოეულ ჩემს თანაგუნდელს, მედიის წარმომადგენლებს, რომელთა ყურადღებასა და ინტერესს მუდამ ვგრძნობ.

მადლობა, რომ არსებობთ. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მივულოცავ ჩემს მეგობრებს მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებულ წარმატებას. ორმაგი მოტივაციაა ეს სიხარული თითოეული ჩვენგანისთვის. იმედი მაქვს, მომავალ წელს უფრო დიდ სიხარულს გაიუქებთ. ბუნებრივად გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

რუმი დასჭირდა

მის, ვის და პორტუგალიელ კრიშტიანუ რონალდუს, წესით, არაფერი უჭირს საიმისო, რომ სასურველი ქალის მოსაპოვებლად მისი გაუპატიურება დასაჭირდეს. ამის მიუხედავად, აშშ-ის სასამართლომ მაინც დაიწყო გამოძიება მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მოდელმა კეტრინ მაიორგამ განაცხადა, ლას-ვეგასის ერთ-ერთ სასტუმროში კრიშტიანუ რონალდუმ უტიფრად მიმბაზა და მიმაცდო.




ამის შემდეგ მაიორგამ ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ რონალდუ სექ-

სისთვის მას დიდ ფულს – 200 ათას დოლარს დაჰპირდა, მაგრამ მოატყუა და ამ თანხის ნაცვლად „სულ რაღაც“ 70 ათას დოლარზე გადაატარა.

კეტრინ მაიორგა თავს გაუპატიურებულად და შეურაცხყოფილად გრძნობს, რადგან მათი შეთანხმება სულ სხვა იყო.

პორტუგალიელი სუპერმეგობლე კი ამ უცნაურ სკანდალში არც მეტი, არც ნაკლები, მადრიდის „რეალის“ ბოსებს ადანაშაულებს და ამბობს, რომ ტურინის „იუვენტუსში“ გადაბარგების შემდეგ ესპანელები ყველაწინაირად ცდილობენ რონალდუსათვის პრობლემების შექმნას და ხელოვნურად უგორებენ ასეთ ბინძურ კამპანიას.

ბუზან დოლიძე



პატარა სახელმწიფოს მეტყველი ბიუჯეტი

საბარტველმოს პარლამენტი იწყებს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვას. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი პირველ ოქტომბერს შევიდა პარლამენტში.

რეგლამენტის თანახმად, ბიუჯეტის პროექტის განხილვა თავდაპირველად საპარლამენტო კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის ფორმატში იწყება და გამოთქმული შენიშვნებითა და დასკვნებით, არა უგვიანეს 22 ოქტომბრისა, მთავრობას უკან უბრუნდება. პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის დასამტკიცებლად ვადა დეკემბრის მესამე პარასკევამდე აქვს.

„საბარტველმოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანახმად, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 12 მილიარდ 729.7 მილიონი ლარით განისაზღვრა. 2018 წელთან შედარებით, ბიუჯეტი 270 მილიონ 200 ათასი ლარით უნდა გაიზარდოს.

პარლამენტი, საზოგადოებრივი მართლმადიდებელი, სახალხო დამცველი

2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის დაფინანსება 2.6 მილიონი ლარით იზრდება და 64.736 მილიონი ლარს ხდება. ცვლილება სახელმწიფო ხარჯის გაზრდას უკავშირდება. თუ 2018 წელს სახელმწიფო ხარჯი შეადგენს 29.518 მილიონ ლარს, 2019 წელს 31.224 მილიონ ლარამდე იზრდება.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, საზოგადოებრივი მართლმადიდებლის დაფინანსების ოდენობა 58,8 მილიონი ლარით განისაზღვრა. 2018 წელს მართლმადიდებელი ბიუჯეტი შეადგენდა 52 მილიონ 522 ათას ლარს, ანუ თითქმის 6 მილიონით ნაკლებს.

2018 წელთან შედარებით, იზრდება სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსება. თუკი მიმდინარე წელს სახალხო დამცველის აპარატის ბიუჯეტი შეადგენდა 5 მილიონ 500 ათას ლარს, 2019 წლის კანონპროექტის მიხედვით, მისი რაოდენობა იქნება 6 მილიონ 400 ათასი ლარი.

ჯანდაცვა, პენსია, ნარკოპენია, ფსიქიკური ჯანმრთელობა

როგორც პროექტის დოკუმენტში ვკითხულობთ, ქვეყნის ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი თანხა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსებისთვის წარიმართება და მისი ჯამი იქნება 3 მილიარდ 900 მილიონამდე. ამ თანხის უდიდესი ნაწილი დაიხარჯება სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია პენსიის 20 ლარით გაზრდა 2019 წლის პირველი იანვრიდან. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 754 მილიონი ლარი მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის დაიხარჯება. პროექტის თანახმად, 2018 წელთან შედარებით, 3 მილიონითაა გაზრდილი ნარკოპენიის დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის

დაფინანსება და 12 მილიონზე მეტ ლარს შეადგენს. ასევე 3 მილიონითაა გაზრდილი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაფინანსება, რომლის ოდენობაც 24 მილიონი ლარით განისაზღვრა.

დავნილები და მათი სახმობრება

იქსულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისათვის ჯანდაცვის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულია 42,7 მლნ ლარი. გარდა ამისა, დევნილთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულია 50,0 მლნ ლარი, შესაბამისად, 2019 წელს დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველსაყოფად გამოყოფილი ჯამური თანხა შეადგენს 93 მილიონამდე ლარს. 2018 წელს ამავე მიზნისთვის 82 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი.

თავდაცვის სამინისტრო

შემცირებულია თავდაცვის სამინისტროსთვის განკუთვნილი ბიუჯეტი. 2018 წელს თავდაცვის ბიუჯეტი შეადგენდა 802 მილიონ ლარს.

2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უწყებისთვის გამოიყოფა 790 მილიონი ლარი. თუმცა, მიუხედავად შემცირებული ბიუჯეტისა, მცირედით, მაგრამ მაინც გაზრდილია შრომის ანაზღაურების რაოდენობა.

განათლება, კულტურა და სპორტი

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი 1 მილიარდ 485 მილიონი ლარია.

ეს თანხა მცირედით აღემატება 2018 წელს ორი სამინისტროს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კულტურისა და სპორტის სამინისტროს) ბიუჯეტების ჯამს, რომელიც შეადგენდა 1 მილიარდ 471 მილიონ ლარს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

2019 წელს თითქმის ერთი მილიონით იზრდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი და ის 643 მილიონ 500 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის იზრდება შრომის ანაზღაურების რაოდენობაც.

გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მოგაზრდას იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი თითქმის 24 მილიონი ლარით იზრდება და ის შეადგენს 298 მილიონ 100 ათას ლარს.

აზიური უაროსანა

თუკი 2018 წელს აზიური უაროსანის წინააღმდეგ გასატარებული ღონისძიებებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 14 მილიონი ლარი, 2019 წელს მანებულ მწერთან საბრძოლველად სახელმწიფომ 35 მილიონი ლარი უნდა დახარჯოს.

ინო თარხნიშვილი

განხილვა ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მიერ დაფინანსებული „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი“ (AMMAR) იწვევს გამოცდილ ადგილობრივ კომპანიებს გამოხატონ ინტერესი შემდეგი დავალების შესასრულებლად:

ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე;

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიწინისში და საქაშეთში, და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეძაში სასოფლო-სამეურნეო გზებისა და ხიდის მოწყობა/რეაბილიტაცია

1. ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლის დავალება განხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის“ (AMMAR) სასოფლო ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების კომპონენტის ფარგლებში. პროექტის (AMMAR) მიზანია საქართველოს სოფელში მცხოვრები ქალების და მამაკაცების შემოსავლების ზრდა და სიღარიბის შემცირება. განვითარების მიზანია კლიმატზე ადაპტირებული სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვში ინვესტირების სტიმულირება მცირემწიფიანი ფერმერების შემოსავლების გასაზრდელად და მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

2. ამჟამად პროექტი იწვევს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიწინისში და საქაშეთში, და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეძაში სასოფლო-სამეურნეო გზებისა და ხიდის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებლად. დეტალური პროექტი და ნახაზები მოიპოვება დეპარტამენტში.

ზემოთაღნიშნული ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების მიზნით პროექტი გეგმავს ტექნიკურ ზედამხედველობაში გამოცდილი ფირმის შერჩევას (შემდგომში „ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია“).

ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს მშენებლობის მაღალი ხარისხი, სამუშაოების სრული შესაბამისობა პროექტთან, ტექნიკურ სპეციფიკაციებთან, ნახაზებთან და სხვა საკონტრაქტო დოკუმენტაციასთან და მათი დადგენილ ვადებში დასრულება. ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია იმუშავებს AMMAR-ის პროექტის მენეჯერის საერთო ზედამხედველობის ქვეშ, რომლის წარმომადგენელიც იქნება ინჟინერ-კონსულტანტი/ზედამხედველი.

წინამდებარე დავალების შესაბამისად სამსახურის ინჟინერ-კონსულტანტის/ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და ინფრასტრუქტურის მესაკუთრის (ადგილობრივი მუნიციპალიტეტი) წარმომადგენელთან თანამშრომლობით ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია ორგანიზება უნდა გაუწიოს და განახორციელოს პროექტის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ყოველდღიური ზედამხედველობა. ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია პასუხისმგებელი იქნება სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის საერთო ზედამხედველობაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და სატენდერო დოკუმენტაციის II თავის გ. ნაწილის (ხარისხის კონტროლი) და ბ. ნაწილის (ხარჯების კონტროლი) დებულებების შესაბამისად.

3. მომსახურების ხანგრძლივობაა 3 თვე და 12 თვე დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი, სულ 15 თვე. დავალების სავარაუდო დაწყების თარიღია 2018 წლის ნოემბერი.

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ფირმის მიმართ:

- 1. ზოგადი გამოცდილება: ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების გამოცდილება;
- 2. სპეციფიკური გამოცდილება: სულ მცირე 3 მსგავსი დავალების განხორციელების გამოცდილება გზების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოებზე ტექნიკურ ზედამხედველობაში. ზედამხედველების ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს უმაღლესი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ტექნიკური სპეციალისტებით. შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ნიშნავს მსგავსი ხასიათის სამშენებლო პროექტებში შესაბამის სფეროში მუშაობის ფაქტურ გამოცდილებას. ზედამხედველობისა და კონტროლისთვის საჭირო პერსონალი, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს (ა) გამოცდილ ჯგუფის

ზედამხედველს - მეგზვე ინჟინერს, (ბ) სავსე ზედამხედველს, (გ) გარემოსდაცვის სპეციალისტს და (დ) ტოპოგრაფს.

- ჯგუფის ზედამხედველის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
 - უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია საგზაო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
 - ზედამხედველობის მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო საზედამხედველო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
 - მრავალდისციპლინარულ გუნდის მართვის და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
 - საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;

- სავსე ზედამხედველის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
 - უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია საგზაო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
 - ზედამხედველობის მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
 - მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
 - საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;

- ჯგუფის ტოპოგრაფის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
 - უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
 - ზედამხედველობის მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
 - მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
 - საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;

- გარემოს დაცვის სპეციალისტი
 - უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია გარემოს დაცვის საქმეში;
 - ზედამხედველობის მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
 - მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
 - საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა.

5. ადგილობრივი ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით.

6. ინტერესის შემთხვევაში და დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ წერილობით ჩვენ ელ-ფოსტაზე. ინტერესის გამოხატვის წერილი შეიძლება ელექტრონულად გამოგზავნილი იყოს და თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ კომპანიის შესახებ;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (პროექტის განხორციელების, ვადების, დამკვეთის და ღირებულების ჩათვლით);
3. ინფორმაცია ამ დავალებისთვის შემოთავაზებული პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების დეტალური აღწერილობა - CV).

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ 2018 წლის 29 ოქტომბრის 12 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზირი №6, მე-2 შენობა, 1-ი სართული
0159 თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: Levan.Tskhovrebashvili@mepa.gov.ge
cc: Nana.Kupunia@mepa.gov.ge



აჭარაში სიტრუსის კრეფა დაიწყო

აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ციტრუსის ლოჯისტიკისა და რეალიზაციის ხელშეწყობის, ასევე ციტრუსის სუბსიდირებისთვის უზრუნველყოფის მიზნით, რეგიონში ციტრუსის რეალიზაციის საკოორდინაციო შტაბი ამოქმედდა, რომელიც გუშინ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ტიტე აროშიძემ გახსნეს.

„არასტანდარტული მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შეფუერხებლად განხორციელების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, აღნიშნული ჯგუფი, გარდა არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციისა, უწყვეტ რეჟიმში იქნება ჩართული სტანდარტული მანდარინის რეალიზაციის მიმდინარეობის პროცესებში. ციტრუსის საკოორდინაციო შტაბის ძირითადი მიზანია მანდარინის ჩაბარების პროცესის მართვა, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი შესრულების კონტროლი, მანდარინის ჩაბარების პროცესის შეფუერხებელი მიმდინარეობის უზრუნველყოფა, არსებული პრობლემების გამოვლენა, გადაჭრის გზების დასახვა და შესაბამისი რეაგირება“, – განაცხადა მინისტრმა.

შტაბმა მუშაობა უკვე დაიწყო და 1 თებერვლამდე გააგრძელებს. იმუშავებს ცხელი ხაზიც 1501, სადაც ნებისმიერ მსურველს საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ექნება. 25 ნოემბრიდან დაიწყება არასტანდარტული მანდარინის სუბსიდირების პროგრამა. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, სამრეწველო გადაამუშავების (არასტანდარტული) მანდარინზე სუბსიდია გაიცემა. სახელმწიფოს მხრიდან 1 კგ სამრეწველო მანდარინზე 10-თეთრიანი თანადაფინანსება იქნება. 10 თეთრს გადაიხდის სანარმო, შესაბამისად სამწარმო გადაამუშავებისთვის განუთვნილი მანდარინის ფასი 20 თეთრი იქნება.

წელს საპროგნოზო მონაცემებით, ციტრუსის მოსავალი 50-55 ათასი ტონა იქნება. საექსპორტო მანდარინს ამზადებს 30-მდე ციტრუსის მიმღებ-დამზარისებელი სანარმო, რომელთაც 30 000 ტონაზე მეტის მიღება-დახარისხება შეუძლია.

გუდაური ზამთრისთვის ემზადება

გუდაურში 6 ახალი საბაგირო შენდება და სასრიალო არეალი 20%-ით იზრდება.

ახალი საბაგიროების მშენებლობით კურორტზე 3.5-ჯერ გაიზრდება გამტარუნარიანობა, რაც იმას ნიშნავს, რომ საბაგიროები გაცილებით მეტი მოთხილამურის ერთად მიღებას შეძლებს.

კურორტზე ასევე მიმდინარეობს ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მე-2 ფაზის მშენებლობა, რომელიც ზამთრის სეზონზე დასრულებული იქნება. ხელოვნური გათოვლიანების პირველი ფაზა გუდაურში 2015 წელს განხორციელდა.

გუდაურიში 6 ახალი საბაგირო შენდება

სასრიალო არეალი 20%-ით იზრდება

განხორციელდა 2018

სად, რა, როდის, ვინ?

თარიღი, სივრცე, ფაქტები

1938 წლის 1 ოქტომბერს ცალკე წიგნად გამოიცა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი“.

1629 წლის 3 ოქტომბერს ოსმალეთს შენიშნული დიდი მოურავი – გამოჩენილი ქართველი სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე გიორგი სააკაძე, მისი ვაჟი ავთანდილი და ორმოცამდე მხლებელი ღალატით დახოცეს ოსმალეთის დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას ბრძანებით.



უცხოეთში დაიღუპა კაცი, რომელმაც საკუთარი და თავისი შვილების სიცოცხლე ქართველი ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლას შესწირა.

1957 წლის 4 ოქტომბერს სსრ კავშირში გაუშვეს მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი.

732 წლის 4 ოქტომბერს პუატიესთან ფრანკთა არმიამ მეფე კარლოსის (შარლის) მეთაურობით დაამარცხა არაბები, რომლებსაც იმ დროისთვის დაპყრობილი შქონდათ მთელი ახლო აღმოსავლეთი, აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილი და ესპანეთი. ამ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა შეეძინა.

1948 წლის 6 ოქტომბერს ლამის ორ საათზე თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში მოხდა მძლავრი მიწისძვრა, რომელმაც მთლიანად ალგავა ქალაქი პირისაგან მიწისა. ცნობები დამანგრეველი მიწისძვრის შესახებ უმალ გასაიდუმლოვდა და დიდძალი მსხვერპლის რიცხვი დღემდე დაზუსტებული არ არის.



შქონდათ მთელი ახლო აღმოსავლეთი, აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილი და ესპანეთი. ამ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა შეეძინა.

1937 წლის 8 ოქტომბერს სსრ კავშირის პროკურორმა ვინისკიმ წამოაყენა წინადადება, „გამკაცრდეს სასჯელი „კონტრრევოლუციური ლაშქრობისთვის“, რის დროსაც იწინებენ ტერორისტულ აქტებს, აგრეთვე გამოთქვამენ ტერორისტულ განზრახვებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბელადთა მიმართ. ყოველივე ეს დაკვალიფიცირდეს როგორც ტერორისტის მხარდაჭერა“.

1829 წლის 9 ოქტომბერს რუსეთის სამეცნიერო ექსპედიციამ დერპტის საიმპერატორო უნივერსიტეტის პროფესორის იოჰან ფრიდრიხ პაროტის ხელმძღვანელობით „ისტორიაში პირველად მიიღწია ბიბლიური არარატის მთის მწვერვალს“.

1948 წლის 6 ოქტომბერს ლამის ორ საათზე თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში მოხდა მძლავრი მიწისძვრა, რომელმაც მთლიანად ალგავა ქალაქი პირისაგან მიწისა. ცნობები დამანგრეველი მიწისძვრის შესახებ უმალ გასაიდუმლოვდა და დიდძალი მსხვერპლის რიცხვი დღემდე დაზუსტებული არ არის.

1937 წლის 8 ოქტომბერს სსრ კავშირის პროკურორმა ვინისკიმ წამოაყენა წინადადება, „გამკაცრდეს სასჯელი „კონტრრევოლუციური ლაშქრობისთვის“, რის დროსაც იწინებენ ტერორისტულ აქტებს, აგრეთვე გამოთქვამენ ტერორისტულ განზრახვებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბელადთა მიმართ. ყოველივე ეს დაკვალიფიცირდეს როგორც ტერორისტის მხარდაჭერა“.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საზადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ზე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის ქ.N13	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P ₂	3 წელი	3 650 მ ³ /წელიწადში	42,00	210,00
2	ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N220	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P ₂	5 წელი	30 000 მ ³ /წელიწადში	505,00	400,00
3	ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის ქ.N9	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P ₂	3 წელი	10 000 მ ³ /წელიწადში	115,00	250,00
4	ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N163	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P ₂	3 წელი	3 650 მ ³ /წელიწადში	42,00	210,00
